

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

### გულნაზ ხუსუა

პიროვნების ფორმირების პედაგოგიური  
სისტემების ინტეგრაციისა და გამოყენების  
თანამედროვე ტექნოლოგიები



გამომცემლობა „ანივერსალი“  
თბილისი 2011

წინამდებარე მონოგრაფია “პიროვნების ფორმირების პედაგოგიური სისტემების ინტეგრაციის თანამედროვე ტექნოლოგიები” ეხება აღსაზრდელის სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების მარადიულ პრობლემას.

მასში განხილულია პედაგოგიური პროცესის სისტემების ინტეგრირებისა და გამოყენების პედაგოგიური ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს ყოველმხრივ პარმონიულად განვითარებული, გონიერივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებას; ასევე ეხება ამ პროცესში მასწავლებლის გადამწყვეტილებას და მნიშვნელობას.

წიგნი, როგორც დამხმარე ლიტერატურა, განკუთვნილია პედაგოგიური საზოგადოების, სტუდენტების, მშობლების, ასევე სწავლა-განათლებისა და ადზრდის საკითხით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი:

თამაზ კარანაძე  
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

რეცენზებები:

ჯემალ ჯინჯიხაძე  
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი  
სრული პროფესორი

ოთარ ვახანია  
პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული  
პროფესორი  
ლეილა შეროზია  
პედაგოგიკისდოქტორი, ასისტენტ – პროფესორი

იანა ტორჩინავა  
პედაგოგიკის დოქტორი, სკოლის დირექტორი

© გ.ხუხუა, 2011

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011

თბილისი, 0179, ი. ვავავაძის გამზ. 19, ჟ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-577-0

*გ უ ლ ა ფ ე რ ი ი წ ყ ე ბ ა ს კ ო ლ ი დ ა ნ ,  
ს კ ო ლ ა კ ი მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ი დ ა ნ*

---

( მ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე )

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა გ რ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ი გ ი ვ ე ა ,  
რ ა ც ს ი ს ხ ლ ი ს ხ ე უ ლ ი ს ა თ ვ ი ს

( ა. დ ი ს ტ ე რ ვ ე გ ი )



## პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

---

ადამიანი არის დვთის უნიკალური ქმნილება, რომლის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებას სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური, შინაგანი და გარეგანი ფაქტორები განაპირობებს. მათ შორის გადამწევეტი აღგილი უკავია აღზრდის ფაქტორს მისივე მეცნიერების— პედაგოგიკის, მასწავლებლისა და სკოლის მეშვეობით.

სკოლას, როგორც განათლების სისტემის მთავარ რგოლს, ტრადიციულად გააჩნია სრულყოფილი აღზრდის უსაზღვრო შესაძლებლობები თავისი უნიკალური პედაგოგიური სტუქტურების, სისტემების, ქვესისტემებისა და კომპონენტების სახით. მაგრამ სწავლა—განათლებისა და აღზრდის საკითხი სულ უფრო და უფრო პრობლემატური ხდება. პდაგოგიური და აკადემიური ჩამორჩენილობა, ასოციალურობა და ანტისოციალურობა დღითიდღე მასობრივ ხასიათს იღებს.

პედაგოგიური კვლევის მონაცემებიდან ირკვევა, რომ აღზრდის მეცნიერება და სასკოლო პრაქტიკა ფაქტობრივად გამიჯნულია ერთმანეთისაგან. პედგოგიური თეორიები ჩანაცვლებულია ფსიქოლოგების მიერ შემოთავაზებული ე. წ. თეორიებით: “თავისუფალი სწავლის თეორიისა” და “განათლების თეორიების” უწყინარი პედაგოგიური სახელწოდებით, რომლებშიც აღრეულია სკოლის სამი გიგანტის — საკლასო-საგაკვეთოლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო—აღმზრდელობითი სისტემის ფუნქციები და დანიშნულება, მიზანი, პრიორიტეტები, მინიმუმამდეა დაუგანილი მასწავლებლის უდიდესი და შეუცვლელი როლი და მნიშვნელობა. ფსიქოლოგების თავისუფალი სწავლის თეორია გვთავაზობს წინაპრების მიერ გავლილი გზის მომდევნო თაობების მიერ ხელახლა გავლით იმის მიღწევას, რასაც წინაპრებმა მიაღწიეს.. გაუგებარია, რა საჭიროა ერთხელ გავლილი გზის ხელახლა გავლა, აღმოჩენილის ხელახლა აღმოჩენა. მაშინ რა დანიშნულება აკისრია მეცნიერებას, თუ ის არ გვამარაგებს კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა—გამოცდილებით

და არ გვიმოკლებს და არ გვიადვილებს შემეცნებით გზას. ოობორ მოხდება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება თუ ადამიანის ყველაზე სენზიტივურ-შემეცნებით ასაკში ერთ და იმავე ადგილი გტაქპნეთ და ბაგშვის განვითარება მის ინსტიქტებს შეგატოვეთ.

მოკლედ, აღნიშნულ ე.წ. თეორიებში უგულებელყოფილია აღზრდის ისტორიზმისა და მემკვიდრეობითობის ლოგიკა; უცხოური სტანდარტების დროისა და ადგილის სპეციფიკის, უმდიდრესი ეროვნული პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილების გათვალისწინებით შერჩევა-ოპტიმიზაციის კულტურა. სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის ობიექტური კანონები და პრინციპები, გადაჭარბებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის დოზები. ყოველივე ამან განაპირობა სკოლაში პოლიციური რეჟიმის შემოტანის აუცილებლობა “უსაფრთხო სკოლის” ეგიდით. რასაც მუდმივად თან სდევს ფსიქოლოგიურ, ემოციურ-გრძნობითი და მორალური დაბაბულობა.

შესუსტებულია სკოლის უშუალო და მარადიული მოკავშირის – ოჯახის, მშობლებისა და მასწავლებლის თანამშრომლობა. მშობლებისა და შვილების ურთიერთობის არადელიკატურობამ, საინფორმაციო ტექნიკური საშუალებების, განსაკუთრებით ინტერნეტისა და მობილური ტელეფონის არამიზანშეწონილად გამოყენებამ უარყოფითი გავლენა იქონია მოსწავლეთა ფსიქიკაზე, მათი მორალური სახის ჩამოყალიბებაზე.

კვლევის საგნის თეორიისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი პრობლემებიდან გამოვყავით ყველაზე პრობლემური საკითხები:

1. თეორიისა და პრაქტიკის გამიჯნულობა;
2. მასწავლებლის დაბალი კვალიფიკაცია;
3. აღზრდის ძირითადი პედაგოგიური სისტემების და კომპონენტების შესაძლებლობათა შეუფასებლობა, მათი ფუნქციებისა და დანიშნულებისამებრ კოორდინაცია-ინტეგრაციისა და პრაქტიკაში გამოყენების პედაგოგიურ ტექნოლოგიებზე ბუნდოვანი წარმოდგენა;
4. აღზრდისათვის მშობელთა მოუმზადებლობა.

ჩვენ შეგეცადეთ პედაგოგიკური მეცნიერებისა და რეალური სინამდვილის პოზიციებიდან უფრო სიღრმისეულად და ახლებურად გაგვეშუქებინა არსებული პრობლემების ტიპები, მიზეზები და შედეგები. შეგვემუშავებინა სათანადო პედაგოგიური რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება, ჩვენი ღრმა რწმენით, გარკვეულ დაღუბით გავლენას მოახდენს ნაწილობრივ მაინც არსებული პრობლემების გადაჭრაში.

წიგნი ეძღვნება პიროვნების ფორმირების პრობლემის სხვადასხვა ასპექტების განხილვას, რომელთა ერთმთლიანობაში წარმოდგენის გარეშე შეუძლებელია სრულფუასოვანი პიროვნების ფორმირება.

მასში გაშუქებულია პედაგოგიური პროცესის ძირითადი სისტემების: საკლასო-საგაკვეთილო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე და ოჯახური აღზრდის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანპირებულობის პედაგოგიური კანონზომიერებანი.

**პიროვნების ფორმირების პედაგოგიური  
სისტემების ინტეგრირებისა და გამოყენების  
თანამედროვე ტექნოლოგიები**

ბავშვის პიროვნებად ფორმირება ურთულესი და ხან-  
გრძლივი პროცესია. ეს პრობლემა დღემდე მეცნიერთა  
მსჯელობის საგნად რჩება. ფილოსოფიური, ფიქტულოგუ-  
ბი, პედაგოგიკურის იკვლევენ, სწავლობენ, გამოთქამენ  
მოსაზრებებს, დებულებებს, ქმნიან ოკონტენტიებს თეო-  
რიებს, მაგრამ პრობლემა პრაქტიკულად გადაუჭრელია  
სხვადასახვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გა-  
მო. ყველა ცდილობს მხოლოდ თავთავიანთი აზრების  
გატანას პედაგოგიკის ხარჯზე საგანთაშორისი კავშირე-  
ბის პრინციპთა გაუთვალისწინებლად. ბოლო დროს გან-  
საკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა პედაგოგიკაში ფი-  
ქოლოგიზმის გააქტიურება. ფიქტულოგების მიერ გამოტა-  
ნილი პედაგოგიური დასკვნები აღზრდის მეცნიერების—  
პედაგოგიკის ადგილს იკავებს. სასწავლო—აღმზრდელო-  
ბითი პროცესი კი მასწავლებელს მიჰყავს და არა ფსიქო-  
ლოგს. პედაგოგი კი იძულებულია ფიქტულოგების ე.წ.  
„სწავლების ახალი თეორიებითა” და „ტექნოლოგიებით”  
იხელმძღვანელოს რეალურად პედაგოგიკის გარეშე. პრაქ-  
ტიკულად მასწავლებელს ხელში რჩება გაპედაგოგიკებუ-  
ლი ფიქტულოგია, ხელოვნურად გერმაფროდიტურ მდგო-  
მარეობაში ჩაყენებული მეცნიერება, რომელიც არც ფსი-  
ქოლოგიაა და არც პედაგოგიკა. არადა, ფსიქოლოგია პე-  
დაგოგიკის ლირსეული მოკავშირეა, რომელიც დიდ დახ-  
მარებას უწევს თავისი კვლევის საგნით, ფსიქიკური პრო-  
ცესების ახსნით, იმით, როგორიც არის ის სინამდვილეში.  
საქმეს ისიც ამძიმებს, რომ ვინც სათანადოდ არ იცნობს  
პედაგოგიკის მეცნიერებას, პედაგოგიკის კლასიკოსების  
(მ.ფ. კვინტილიანეს 12 ტომეულ პედაგოგიკურ ტრაქტატს  
„ორატორის დარიგებანი”, ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა  
და პანტაგრუელი,” იან ამოს კომენსკის „დიდ დიდაქტი-  
კას”, ჯონ ლოკის „ფიქტური აღზრდის შესახებ”, უან-უაპ  
რუსოს „ემილი ანუ აღზრდის შესახებ”, იოჰან პენრის

პესტალოცის „ლინგარდი და პერტრუდა”, იოპან ფრიდრიხის პერბარტის „ზოგადი პედაგოგიკა გამოყვანილი აღზრდის მიზნიდან,” „ნარკევევი პედაგოგიკის ლექციებიდან,” ადოლფ დისტერვეგის „სახელმძღვანელო გერმანელ მასწავლებელთა განათლებისათვის,” რობერტ ოუენის „ახალი შეხედულება საზოგადოებაზე ანუ ცდა ადამიანის ხასიათის აღზრდის პრინციპების შესახებ,” „წიგნი ახალი ზნეობრივი სამყაროს შესახებ,” კონსტანტინე უშუნსკის „ადამიანი, როგორც აღზრდის საგანი,” იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური თხზულებები და ა. შ.) გენიალურ და დღემდე გაუხუნარ პედაგოგიკურ შედევრებს და პგრნიათ, რომ რასაც დღეს ფსიქოლოგია სთავაზობს, ეს არის პედაგოგიკა, ანუ ეს—ეს არის ვითომ ფსიქოლოგიამ შვა პედაგოგიკა. ფსიქოლოგია ვერ შობს პედაგოგიკას ისევე, როგორც პედაგოგიკა ვერ შობს ფსიქოლოგიას. ფსიქოლოგიის ამგვარ პროექტირებას შეცდომაში შეჰყავს პედაგოგიური საზოგადოება და, რაც უფრო საგალალოა, სტუდენტი, რომელსაც ჯერ წარმოდგენა არა აქვს პედაგოგიკურ მეცნიერებაზე.

ცნობილია, რომ განვითარების ობიექტური წესებისა და კანონების, ისტორიულ— გენეტიკური მემკვიდრეობითობის: თავისი გვარის, ძირის, არსებული ცოდნა—გამოცდილების უმდიდრესი ბაზის გათვალისწინების გარეშე, რაღაც გაუგებარი გადამყნობა—გადმოყნობითა და ტერმინების აღრევით მეცნიერების განვითარება ყოვლად წარმოუდგენელია. მეცნიერებაში ახალი ყოველთვის უნდა დაეყრდნოს ფუძეს, ფუნდამენტალურ, ობიექტურად არსებულ კანონებსა და პრინციპებს, ზოგადაცაცობრიულ, უცვლელ და მარადიულ ღირებულებებს და ამ დროს ორივე, ძველიც და ახალიც კარგად იხეირებს. უაპელაციო ხელის ფათური მეცნიერებებში, მაგალითად ფსიქოლოგების მიერ პედაგოგიკაში, ორივესთვის საზიანოა. დღეს უბევ ვართ ამ ფაქტის წინაშე. ფსიქოლოგია შეიქრა სკოლაში პედაგოგიკის სახელით და მისი ადგილი დაიკავა. ეს ისე შეფარვით ხდება, რომ დილეტანტი პედაგოგები და პედაგოგიკოსები ვერც კი ხვდებიან, ან ხვდებიან, მაგრამ თავის შეწუხებას ერიდებიან . შედეგი კი ის არის,

რაც უკვე გვაქვს სკოლაში. მოსწავლეთა ანტისოციალურობამ იქამდე მიაღწია, რომ სკოლებში რეალურად საჭირო გახდა პოლიციელების შეყვანა. არადა, სკოლის მუშაობა შეგნების, ნებაყოფლობითობის, ურთიერთპატივის-ცემის, სიყვარულის, ნდობისა და მასწავლებლის ავტორიტეტის, კომპენტეტურობისა და პროფესიონალიზმის პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული. ხომ ცნობილია, რომ ნებისმიერი საქმისადმი ნებისმიერი მიდგომის ეფექტურობა მისი შედეგით განისაზღვრება. როგორც დგომის ძეგიერებაში თქვა: „ხე ნაყოფით შეიცნობა“ (მათე 7:16). ამ კრიტერიუმით უნდა მივუდგეთ საქმეს, განსაკუთრებით აღზრდის სფეროში. ავტორიტარიზმი დამდუპველია.

ცხოვრებასა და ცნობიერებაში, თეორიასა და პრაქტიკაში აპრობირებული და გამართლებული აღზრდის მეცნიერების პედაგოგიკის ფსიქიკის მეცნიერებით ჩანაცვლება ორივე მეცნიერებას ფუნქციას უკარგავს და ეზოაქს ყვავის მდგომარეობაში აყენებს. ან კიდევ, ჩვენ თვალები დავხუჭოთ და ვიძახოთ მზე არ არისო, ამით მზე ხომ არ გაქრება, ჩვენ კი მართლა სიბნელეში აღმოგჩნდებით. განათლების ფსიქოლოგია, მინოტავრს დაამსგავსეს მისივე მესვეურებმა. ფსიქოლოგია ხომ ფსიქიკის მეცნიერებაა. განათლებას კი ფსიქიკა არა აქვს. რას ვაწვალებთ, რატომ ვაყენებთ უპატურ მდგომარეობაში ამ უძვირფასეს მეცნიერებას. ფსიქოლოგების: ვიგორდსკი, ზანკოვი, ჯონ დიუ, პიაუე, უისტონი, ბრუნერი, ბლუმი, ოზიბელი და სხვების პედაგოგიკის „მამამთავრებად“ გამოცხადება მეცნიერების უგულებელყოფაა. სრულებით არ არის იმის საჭიროება, რომ ფსიქოლოგიამ ფუჭად ხარჯოს დრო მის საზღვრებს გარეთ. მას აქვს ყველაზე უნიკალური და ყველაფერზე ამაღლებული კელეგის ობიექტი ადამიანის ფსიქიკა და ფსიქიკური პროცესები და პედაგოგიური დასკვნების გაპეტებით კი არა, ფსიქოლოგიური დასკვნებით უნდა იყოს დაგავებული, რითაც დიდ სამსახურს გაუწევს პედაგოგიკასაც და თავის თავსაც. ერთ საქმაოდ სოლიდურ სამეცნიერო რესპუბლიკურ კონფერენციაზე მომხსენებელი აცხადებს, რომ თურმე „იაკობ გოგებაშვილს ბლუმზე დაულაგებია თავისი მოთხოვბა „ცოტნე

დადიანი”. ის ამბობს: “. . . ერთი შეხედვით ისეთი უპრეტენზიონ მოთხოვობაც კი . . . ” ცოტნე დადიანი” სწორედ ბლუმის პრინციპზე დაუწერია იაკობ გოგებაშვილს ჯერ კიდევ როდის. პედაგოგი იღებს მოთხოვობას და უცებ აღმოაჩენს, რომ იგი დალაგებული ყოფილა ბლუმზე”. (სტილი დაცულია გ. ხ.). გამოდის, რომ იაკობ გოგებაშვილის უნიკალურობა თურმე ბლუმის დამსახურება ყოფილა! სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დროის დიმენსიონის თვალსაზრისით მაინც ხომ უხერხულია ამგვარი არგუმენტაცია იკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ შეხედულებათა აქტუალობის დასამტკიცებლად.

უდიდესმა ფსიქოლოგმა დიმიტრი უზნაძემ ფსიქოლოგების მიერ პედაგოგიური დასკვნების გაპეთებას უწოდა ფსიქოლოგიზმი პედაგოგიკაში და სასტიკად დაგმო საქმისადმი ამგვარი მიღომა, რადგან კარგად იცოდა დიდმა მეცნიერმა, რომ ფსიქოლოგიზმი პედაგოგიკაში პედაგოგიკის უარყოფაა. რაც არ უნდა მოინდომონ ფსიქოლოგებმა, ფსიქოლოგია, ობიექტური კანონზომიერებიდან გამომდინარე, განათლებისა და აღზრდის მეცნიერება ვერასოდეს ვერ გახდება, რადგან განათლება და აღზრდა პედაგოგიკის საგანია და უშუალოდ მასწავლებლის ფუნქციაა და არა ფსიქოლოგის.

ბავშვის პიროვნებად ფორმირების ერთ-ერთ მთავარი ფაქტორად (ბიოლოგიური მემკვიდრეობითობისა და სოციალურ გარემოსთან ერთად) აღზრდა დიდ ხანია აღიარებულია მეცნიერულად და დაღასტურებულია საუკუნოვანი პრაქტიკით. აღზრდის ფაქტორის თავისებურება, სხვა ფაქტორებისაგან განსხვავებით ის არის, რომ იგი მიმდინარეობს სპეციალურად, მეცნიერულ-ობიექტური კანონების, კანონზომიერების, პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე ორგანიზებულ პედაგოგიურ პროცესში, რომელსაც მართავს ოფიციალური პირი – მასწავლებელი, რომელსაც აქვს სპეციალური პედაგოგიური განათლება და აღჭურვილია სწავლებისა და აღზრდის თეორიით, ფლობს პედაგოგიკას როგორც მეცნიერებას და როგორც სელოგნებას, ანუ პედაგოგიკური მეცნიერების პედაგო-

ური სიტუაციების შესაბამისად პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევებს, პედაგოგიურ ოსტატობას.

როგორც ცნობილია, პედაგოგიური პროცესი მოიცავს სხვადასხვა ერთმანეთთან დაკავშირებულ პედაგოგიურ სისტემებს, ქვესისტემებსა და პედაგოგიურ კომპონენტებს. თითოეულ მათგანს ისეთივე კავშირი აქვს ერთმანეთთან, როგორიც ადამიანის სხეულის ნაწილებს. როგორც ადამიანის სხეულში ზოგი ორგანო სასიცოცხლოა, ზოგი – დამხმარე, ზოგი კიდევ სათადარიგო გაუთვალისწინებულ პრობლემებთან გასამკლავებლად. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ადამიანის სრულფასოვან სიცოცხლეს მისი თითოეული ორგანოს სრული სიჯანსაღე და ორგანიზებული ფუნქციურობა განაპირობებს. ამათგან თუ რომელიმე დაზიანდა, თუნდაც ნეკა თითო, ან ერთი კბილი, მთელ სხეულში ირლევება ბალანსი, სისტემურობა, ჰარმონიული თანხმობა და ადამიანი უკვე განიცდის დისკომფორტს, რაც მის შრომითი უნარიანობის დაქვეითებასა და უხალისო ურთიერთობებში აისახება. ძირითადი ორგანოების დაზიანებამ კი შეიძლება ხანგრძლივი ავადმყოფობა და სათანადო სამედიცინო დახმარების გარეშე სიკვდილიც კი გამოიწვიოს.

ან კიდევ, ავიღოთ საათის მაგალითი. მის ფუნქციონირებას განაპირობებს მის შემადგენელ ელემენტთა სრულფასოვნება და მათი სისტემური კავშირი. რომელიმე ელემენტი რომ დაზიანდეს, საათის მუშაობა ან შეფერხდება, ან საერთოდ შეწყდება. შემადგენელ ელემენტთა სიმრთელე და სისტემურობა არის ის მექნიზმი, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს მთელი სხეული.

იგივე შეიძლება ითქვას სკოლაზე, ოჯახზე, შრომით კოლექტივზე, ერზე, სახელმწიფოზე, მთელ კაცობრიობაზე. სადაც წესრიგი, ერთობა, სისტემა, თანხმობა, ჰარმონია, სიმეტრია, პროპორცია არა არის, იქ არის ქაოსი, ნგრევა, რღვევა და მთელი უბედურება. ამიტომ თქვა იან ამოს კომენსკიმ, პედაგოგიკის კლასიკოსმა, რომ „წესრიგია არსებულთა სული“ (“პორიადოკ დუშა ვეშეი”).

სწორედ, ამგვარად გაგებულ „წესრიგზე,“ რომ ააგოს პედაგოგიური პროცესი და მოაქციოს იგი პედაგოგიური

კანონზომიერების ჩარჩოში, მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს პედაგოგიკური და მოსაზღვრე მეცნიერებათა მიღწევებით და პედაგოგიკური ხელოვნებით, (პედაგოგიურ ხელოვნებაში საქმისადმი შემოქმედებითი მიღვომა იგულისხმება), ხელთეწიფებოდეს საგნებსა და მოვლენების “შიგა” და “შორისი” კაგშირების კოორდინირება მოცემული პედაგოგიური სიტუაციების, დროისა და სივრცის დიმენსიონების შესაბამისად. და, სკოლა გადაიქცევა სულიერ სამოთხედ, გიტორინო დე ფელტრეს “სისარულის სკოლად.”

ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარება მის წევრთა აღზრდილობის დონით განისაზღვრება, ერი კი – მისი ეროვნული კულტურით და მიღწევებით. ვინ ქმნის ეროვნულ კულტურას ხელოვნებაში, მეცნიერებაში, ტექნიკაში? აასუხი ერთია. — ადამიანი: მწერალი, მუსიკოსი, მხატვარი, არქიტექტორი, მეცნიერი, აგრონომი, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, გლეხი, მუშა და ა. შ. ვინ არიან ესენი? — ხალხი, ერი. ასე იკვრება დიდი წრე მთელისა და ნაწილების, ზოგადისა და კერძოს ერთიანობით.

თითოეული ადამიანის სრულფასოვნების პროპორციულია საზოგადოების სრულფასოვნება. საზოგადოების განვითარების ტენდენცია, სწრაფვა სრულყოფილებისაქნ რეალიზდება პიროვნების განვითარებით. პიროვნების განვითარების, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის აღზრდა. ამიტომ უწოდებენ აღზრდას საზოგადოებრივ მოვლენას. აღზრდა არის საზოგადოების განვითარების პირობაც და შედეგიც.

აღზრდის შეუცვლელი მნიშვნელობის შესახებ თაგორი წერდა: „მწამს, რომ კაცობრიობის ყველა პრობლემამ აღზრდაში უნდა პპოვოს გადაწყვეტა.“ აკაკი წერეთელს მიაჩნდა, რომ „რაც ცუდი გვჭირს, სულ ცუდი აღზრდის ბრალია.“ რობერტ ოუენმა თქვა: „აღზრდა ქვეყნად არსებული ყოველი სიკეთისა და ბოროტების, უბედურებისა და ბედნიერების პირველწყაროა.“ „ადამიანი არის ყველაზე მშვიდი და ყველაზე დკოაებრივი სულდგმული, თუ იგი მოშინაურებულია ჭეშმარიტი აღზრდით. თუ მას არ მიუდია აღზრდა ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ ის

არის ყველაზე უფრო ველური იმ ცხოველთა შორის, რომლებსაც დედამიწა წარმოშობს” – 2400 წლის წინ პლატონის მიერ ნათქვამი ეს უკვდავი სიტყვები, დღეს უფრო რეალურია და აქტუალური, ვიდრე მაშინ, როცა ის დაიწერა.

ამგვარ დასკვნამდე მიდიოდა ყველა დროისა და საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, მეცნიერი თუ ხელოვანი.

დამანგრეველი მაშტაბური ომები, ძალადობა, ტერორიზმი, კორუფცია, ეგოცენტრიზმი, მატერიალიზმი, ფლობისა და ბატონობის მანია, ხარბი კომერცია, სიცრუე და გარევნილება, ზნეობრივი და სულიერი დეგრადაცია, უსამართლობა, მთელი ეროვნული სიმდიდრის და ძალაუფლების ერთეულთა საკუთრებაში მოქცევა და მილიონობით ადამიანთა შიმშილობა და სიღატაპე — აი, თანამედროვე რეალური სინამვილე, რამაც კაცობრიობა მიიყვანა სოციალურ-ეკონომიური და ეკოლოგიური კატასტროფისა და მასობრივი განადგურების საშიშროებამდე. როგორც იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: „მცირე ნაწილი კაცობრიობისა ჰყარს სიმდიდრისაგან და უმრავლესობა—სიღატაკისგან.”

ამ გამაოგნებელი შედეგის, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები აღნიშნავენ, ერთ-ერთი და უმთავრესი მიზეზი არის მორალური დეგრადაცია, სულიერი დაკნინება, რაც შედეგად მოსდევს არასწორ, ცუდ აღზრდას, ყოვლისშემოქმედისა და უზენაესი მმართველი დევის მცნებების, კანონებისა და პრინციპების უგულებელყოფას.

ჩვილი წარმოადგენს პიროვნების საწყის ფორმას, რომელშიც ყოვლისშემოქმედი დმერთის მიერ ჩადებულია სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების პოტენციური შესაძლებლობები ისევე, როგორც თესლში დევს თავის გვარის და მიხედვით უზარმაზარ მსხმოიარე ხედ განვითარების ჩანასახები.

ადამიანში ერთნარად დევს სიკეთისა და ბოროტების საწყისები. გაიზრდება ის, რომელსაც მიეცემა უკათესი პირობები განვითარ ებისათვის. აღზრდა არის ის ფაქტო-

რი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სათანადო პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური პირობები, რომ განვითარდეს სიკეთე და არა ბოროტება პიროვნებაში. აღზრდა, როგორც მიზანმიმართული გეგმაზომიერი პედაგოგიური ზემოქმედების პროცესი აღსაზრდელზე, მის გონიერივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად განვითარებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების მიზნით, არის ერთადერთი გზა კაცობრიობის უმაღლესი იდეალის—ბედნიერი და მშვიდობიანი, უსაფრთხო ცხოვრების მისაღწევად, რომელიც უნდა უზრუნველყოს დროისა და ადგილის შესაბამის სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის საფუძველზე სკოლამ სასკოლო და პედაგოგიური ინფრასტრუქტურის სისტემების, ქვესისტემებისა და პედაგოგიური კომპონენტების კოორდინირებულ მოწესრიგებულმა ერთიანობამ. სასკოლო და წმინდა პედაგოგიური ინფრასტრუქტურას თავთავისი სისტემები გააჩნია. სასკოლო ინფრასტრუქტურაში იგულისხმება სკოლის სასწავლო მატერილურ-ტექნიკური ბაზა თავისი ქვესისისტემებით: სკოლის შენობა, საკლასო ოთახები, კლას-კაბინეტები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერის ცენტრი, წყალგაყვანილობა, გათბობა, სპორტული დარბაზი, მოედანი, ელექტროგაყვანილობა, კვების ობიექტი და ა. შ. ასევე პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივი, მშობლები, არაფორმალური საზოგადოება, შეფი-ორგანიზაცია, რომელიც მატერიალურ და ფიზიკურ დახმარებას გაუწევს სკოლას.

პედაგოგიური ინფრასტრუქტურა მოიცავს ისეთ პედაგოგიურ სისტემებს, რომელიც პასუხისმგებელია ახალი თაობის მომზადებაზე, რომელიც ნაზიარები იქნება ეროვნული და მსოფლიოს კულტურული მიღწევების ძირითად საფუძვლებს, ექნება სათანადო ზოგადი განათლების ბაზა განათლების სისტემის მომდევნო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, არჩეული პროფესიის დასაუფლებლად. პედაგოგიური ინფრასტრუქტურა საკუთრივ მოიცავს შემდგე ძირითად პედაგოგიურ სისტემებს:

1. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის საკლასო—საგაკვეთილო სისტემა.

2. ქლასგარეშე პედაგოგიურ, კულტურულ და საგან-მანათლებლო ღონისძიებათა სისტემა.
3. სკოლისგარეშე საგანმანათლებლო—სააღმზრდელო დაწესებულებათა სისტემა.
4. ოჯახი.

პედაგოგიური ინფრასტრუქტურის პირველ, მთავარ და წარმართველ სისტემას წარმოადგენს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის საკლასო—საგაკვეთოლო სისტემა, რომელიც ჩვენამდე მოღწეული პედაგოგიკური ლიტერატურის მიხედვით 2000 წელს ითვლის. სხვადასხვა პედაგოგიკურ ლიტერატურაში სასწავლო პროცესის აღმნიშვნელად მოხსენიებულია ცნება „მეცადინეობა“. I საუკუნის რომაელი მეცნიერ-პედაგოგი და ორატორი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე თავის 12 ტომეულ პედაგოგიკურ ტრაქტატში „ორატორის დარიგებანი“ განაზოგადებს რა იმ რიტორიკული სკოლის პედაგოგიურ გამოცდილებას, რომელშიც თავად სწავლობდა, არაერთხელ ახსენებს თანატოლთა შორის სწავლაში შეჯიბრების პროცესს, ჯგუფურ და კოლექტიურ მეცადინეობას მასწავლებლის ხელმძღვანელობით. სადაც გამარჯვებული დამრცხებულის ეხმარებოდა შემდგომ შეჯიბრებაზე გამარჯვებისათვის მომზადებაში. სიტყვებში: „თანატოლთა“ და „შეჯიბრება“ უპვე ჩანს კლასი თანამედროვე გაგებით. ოოგორც წესი შეჯიბრებაში ყოველთვის მოიაზრება ორი თანაბარი მხარე. „მათ შორის—წერს კვინტილიანე—იმართებოდა შეჯიბრება პირველი ადგილისა და უმაღლესი თანრიგის მოსაპოვებლად. აქ ვლინდებოდა მათი მომზადების დონე, წარმატება და წარუმატებლობა . . . გამარჯვებული შექებას იმსახურებდა და პრივილეგირებულ მდგომარეობას იკავებდა. პირველი სიტყვა მას ეკუთვნოდა. ამასთანავე გამარჯვებისათვის ოოგორც სიტყვიერ, ისე რაიმე ნივთიერ ჯილდოსაც იღებდა“ (მ.ფ. კვინტილიანე, „ორატორის დარიგებანი“, წგ–ნი I, სანკტ–პეტერბუგი, 1834, გვ. 22, 23. ნიკოლსკის თარგმანი). უფრო მეტიც, კვინტილიანე პირდაპირ მოიხსენიებს სიტყვას „გაკვეთილს.“ ის წერს: „მოწაფეებს განსაძუთრებით გვიყვარდა მჭევრმეტყველების გაკვეთილი“—ო. (იქვე). გაკვეთილზე სხვა უამრავი მაგალითი მოი-

ძებნება აღორძინების ხანის პედაგოგიკაში, მაგრამ მისი ისტორიის დეტალური ანალიზი არ შეადგენს ჩვენი კვლევის მიზანს, უბრალოდ, ცნობისთვის აღვნიშნავთ, რომ საკლასო –საგაკვეთილო სისტემამ თავის განვითარების პიქს მიაღწია მე-17 საუკუნის ჩეხი პედაგოგ-კლასიკოსის იან-ამოს კომენსკის „დიდ დიდაქტიკაში“ (კომენსკი დიდი დიდაქტიკის ცნებაში მოიაზრებს მთელ პედაგოგიკას თავისი კლასიკური გაგებით).

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი გაკვეთილს თვლიდა რა უკვე მოძველებულ ფორმად, შეეცადა მის შეცვლას, მაგრამ მისი უნიკალურობის გამო დღემდე ვერავინ მოახერხა რაიმე უკეთესი ფორმის შემოთავაზება. ჯერ იყო და, XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე ინგლისში გაგრცელდა ე.წ. ბელანგასტერის ახალი საგაკვეთილო სისტემა ა. ბელლას და დ. ლანგასტერის თანაავტორობით, რომელიც ერთდროულად 600 მოსწავლესთან მასწავლებლის მუშაობას ითვალისწინებდა, სადაც მასწავლებლის როლი ნულამდე იყო დაყვანილი. კლასი იყოფოდა გარკვეულ ჯგუფებად და მათთან მეცადინეობას ფაქტურად ე.წ. მასწავლებლის თანაშემწერ დეკურიონებად წოდებული უფროსკლასელები ატარებდნენ.

ამერიკელი ფსიქოლოგის ე.პარკხესტერის მიერ შემოთავაზებული იყო ე.წ. დალტონ გეგმა, რომელიც უკიდურესად ინდივიდუალიზებული იყო და გამორიცხავდა ჯგუფურ და მითუმეტებს, კოლექტიურ სწავლებას. იგი ეფუძნებოდა მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების უთანასწორობის პრინციპს, რომელიც თითქოს მემკვიდრეობით იყო განვითობებული და მათი ბედი უკვე გადაწყვეტილია! (ამ უკიდურესობას დღეს დაუპირირისპირდა ე.წ. ინკლუზიური განათლება, რომელიც შემოიფარგლება ისევ ფსიქოლოგების მიერ შემოთავაზებულ კეთილი სურვილებით, მოწოდებებითა, სენტენციებით ყოველგვარი პედაგოგიური კანონებისა და კანონზომიერების, არგუმენტირებული მტკიცებების გარეშე). ჩვენ აქ არ გვულისხმობთ მართლა გონებრივ შესაძლებლობა შეზღუდულ, თანდაყოლილ, ან შეძენილ ფსიქიურ თუ ფიზიურ დეფექტს. ეს სულ სხვა პრობლემაა და ის სპეციალური პე-

დაგოგიკის – დეფექტოლოგიის დარგების (სურდოპედაგოგიკა ანუ ყრუმუნჯოთა პედაგოგიკა, ტიფლოპედაგოგიკა ანუ უსინათლოთა პედაგოგიკა და ოლიგოფრენიპედაგოგიკა ანუ გონებრივად შეზღუდულთა აღზრდის აღზრდის პედაგოგიკა, საკორექციო, პრევენციულ და კომპენსატორული პედაგოგიკა) ზრუნვის საგანია. რაც შეეხება მორალურ დეფექტს, ეს ოოგორც ცუდი აღზრდის შედეგი, ძირითადად ჩვეულებრივი პედაგოგიკის ობიექტია. პედაგოგიკის მეცნიერებაში ეს უკვე გარკვეული და ფუნდამენტურად დამუშავებული თემაა. პრობლემა მხოლოდ მის შეუფასებლობაშია.

რაც შეეხება „ტრამპ გეგმას”, რომელიც გაკვეთილის ნაცვლად შემოიღო ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლიოდ ტრამპმა ოოგორც სწავლება-აღზრდის ახალი ორგანიზაციული ფორმა. ისიც უკიდურესად ინდივიდუალიზებული იყო. იგი 100–150 მოსწავლესთან ერთდროულად მეცადინეობას ითვალისწინებდა განსხვავებული, ინდივიდუალური პროგრამითა და თემატიკით ე.წ. ბარათებითა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით. სწავლების ეს ფორმა, ოოგორც სხვა ზემოთ დასახელებული ფორმები არაპედაგოგიური, არაზნეობრივი, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის იდეებს სრულიად გამიჯნული იყო და საყოველთაო აღიარება ვერ ჰპოვა. თუმცა ამგვარმა ისტორიზმისა და მემკვიდრეობითობის ლოგიკას მოკლებულმა გაუთავებელმა ექსპერიმენტებმა, დიდი ზიანი მიაყენა აღზრდასაც და მის მეცნიერება – პედაგოგიკასაც.

პედაგოგიკა ყველაზე დიალექტიკური, განვითარებადი, დინამიური და ლოგიკური, საყოველთაო და პერმანენტული მეცნიერებაა, თავისი მყარი გვარითა და ძირით, კვლევის განსაზღვრული საგნით (აღზრდა), ობიექტით (აღსაზრდელი), მიზნით (აღსაზრდელის ყოველმხრივ პარმონიულად, გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად, ფიზიკურად განვითარება), საკუთარი ტერმინოლოგიით, კვლევის მეთოდებით, აღზრდის ობიექტური კანონებით, პრინციპებით, მეთოდებითა და ორგანიზაციული ფორმებით, აქვს განსაზღვრული ცოდნის წყაროები და, რაც მთავარია, ჰყავს ამ თეორიის პრაქტიკული რეალი-

ზატორი, უცელელი ადმასრულებელი, ამ საქმის დიდოსტატი, ყველაზე საპატიო ოფიციალური პირი – მასწავლებელი. ხალხნო, ღმერთი არა გწამთ, მიუშვით ერთმანეთთან პედაგოგიკა, მასწავლებელი და მოსწავლე უცხო შუამავლების გარეშე!

მავან–მავანმა მეცნიერმა რომ გამოაცხადა პედაგოგიკა მეცნიერება არ არისო, ფსიქოლოგებს, ფილოსოფოსებს, ურნალისტებს, იურისტებს, მუსიკოსებს, ექიმებს მართალი ეგონათ და „დიდი თანაგრძნობით“ საქუთარ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა, პედაგოგიკისა და პედაგოგის ფუნქცია. უფრო მეტიც, უცხოეთიდან ათასობით მასწავლებელთა (ჯერ ისიც საკითხავია, მართლა არიან თუ არა კვალიფიციური მასწავლებლები! ან თუნდაც იყონ ასეთები, რა სავალდებულოა დამოუკიდებელ სახელმწიფოში თითოეულმა ქართველმა ინგლისელ–ამერიკელივით იცოდეს ინგლისური ენა?!?) ჩამოყანით დისკრედიტებულ და დაბნეულ მასწავლებლებს პედაგოგიური ავტორიტეტი დაუკარგეს თავიანთი აღსაზრდელების წინაშე. ამაში ადგილად დარწმუნდებით, როცა თავად მათ მოუსმენთ.

სკოლებში თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენის მიზნით, როგორც წესი, ტარდება პედაგოგიური გამოკვლევები არსებული ხაერვეზების გამოსავლინებლად და აღმოსაფხვრელად. ან საუკეთესო პედაგოგიური გამოცდილების გასაზიარებლად. ამჯერად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, ჩაატარა პედაგოგიური კვლევა თბილისის რამდენიმე საჯარო და კერძო სკოლებში. რესპონდენტები იყვნენ მასწავლებლები და მოსწავლეები. კვლევით მიღებული შედეგების ნაწილი ავსახეო განათლების სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო პედაგოგიური შრომების კრებულში „მეცნიერება და სკოლა“ I ნაწილი, თბ. 2010 წელი. სადაც შევეხეთ პედაგოგიკური მეცნიერებისა და სასკოლო პრაქტიკის ერთიანობის პრინციპის დარღვევით გამოწვეულ მწვავე პრობლემებს: შედეგებს, მიზეზებსა და გამოსავლის პოვნის მცდელობას.

მასწავლებლებს დაგუსვით რამდენიმე კითხვა, რომელთა პასუხები მოგვცემდა საშუალებას ძირითადად რა პრობლემები აწუხებდათ პედაგოგიურ პროცესში და რა პედაგოგიურ ტექნოლოგიებს, კანონებს, პრინციპებსა და მეთოდებს იყენებდნენ მათ მიერ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად.

პირველ კითხვაზე მივიღეთ ასეთი პასუხები:

„კაბინეტის კლასით დაკავება“, „დისციპლინა“, „სახელმძღვანელოების დეფიციტი“, „სასწავლო ნივთების სიძვირე“, „სასწავლო მოტივის უქონლობა“, „ბავშვის დაბალი დონე“, „უინტერესობა“, „გონებაგაფანტულობა“, „სახელმძღვანელოები გაუგებარ ენაზეა დაწერილი“, „მშობელთა უყურადღებობა“, „სიზარმაცე“, „ქცევის პრობლემები“, „კაბინეტური სისტემის მოშლა“, „შეფასების ნიშნის გამოყენა არ მიმართია სწორად“, „დარღვეულია სწავლების სისტემატურობის პრინციპი“, „იძულებითი სწავლა“, „სწავლის სურვილი არა აქვთ“, „მათემატიკა არ აინტერესებთ“ და ა. შ.

აქ მოტანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ორგანიზაციული, ეთიკური, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური პრობლემები, მაგრამ განსაკუთრებით ჩვენი დაეჭვება გამოიწვია მასწავლებლის პროფესიონალიზმა. კერძოდ, მის ლოგიკურ— მეთოდოლოგიურ კულტურასა და პედაგოგის ცნებით—ტერმინოლოგიურ სისტემასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. გამოკითხულ მასწავლებელთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს პედაგოგიური სიტუაციებისა და მოვლენების პრობლემატურობის ღონისა და სახის მიხედვით ტიპოლოგიზაციას და პედაგოგიურ კატეგორიებში გადატანას, იფარგლება პედაგოგიური სიტუაციებისა და მოვლენების სუბიექტური მოსაზრებებითა და შიშველი პრაქტიციზმის საფუძველზე შეფასებებით.

ჩვენი სავარაუდო დასკვნების ობიექტურობის დასაზუსტებლად დაგსვით მეორე კითხვა, პედაგოგიურ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. აი მათი პასუხებიც: „გომპიუტერს“, „ინტერნეტს“, „პლაკატებს“, „პროექტორს“, „ინფორმაციულ—საკომუნიკაციო ტექნოლოგი-

ებს, „„ექსპურსიებს,“ „„დისპუტებს,“ „„ჯგუფურ და წყვილურ მეცადინეობებს,“ „„ტესტირებას,“ „„ინტერაქტიურ ფორმებს,“ „„პოლექტიურ-ძიებით მეთოდებს“ და ა. შ.

როგორც ჩანს, ამ პასუხების აგტორები სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, პედაგოგურ ფორმებს, მეთოდებსა და ტექნოლოგიებს შორის განსხვავებას ვერ ხედავთ. ყველაფერი უთავბოლოდ, ყოველგვარი სისტემურობის, ფუნქციისა და დანიშნულების გარეშე, ერთმანეთში აქვთ არეული, რაღაც მათ ცნებებსა და არსში ვერ ერკვევიან. პედაგოგიური ტექნოლოგიები პგრნიათ რაღაც განყენებული ერთეული, მხოლოდ რაღაც ტექნიკასთან დაკავშირებული და არა პედაგოგიური ოპერაციებისა თუ მოქმედების განსაზღვრული, მოცემულ სიტუაციასთან მორგებული პედაგოგიურ საშუალებათა კომბიმბინაციები და თანმიმდევრობა.

მესამე კითხვაზე: რა პედაგოგიური კანონებით, პრინციპებითა და მეთოდებით ცდილობთ სასწავლო პროცეს-თან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას? პასუხები ასეთია:

— „ვიყენებ დამატებით მეცადინეობას,“ მიემართავ ფსიქოლოგიას, „„გცდილობ დაგაინტერესო მოსწავლეები და მიმყავს ექსპურსიებზე,“ „„საუბრებით,“ „„დარიგებითა და დამოძღვრებით,“ „„ჯგუფური მუშაობით,“ „„ფსიქოლოგიური პალეოით,“ „„ვებმარები ფსიქოლოგიურად, ცოტა მკაცრადაც,“ „„განმარტებითა და თვალსაჩინოებით,“ „„თანამშრომლობით,“ „„ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესებით,“ „„გაკვეთილი დაგუკავშირო ცხოვრებისეულ მაგალითებს,“ „„გიხმარიებ ფსიქოლოგს,“ „„შეგნებულობის პრინციპით,“ „„წახალისებითა და თანამშრომლობით,“ „„განხილვას,“ „„თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებით, რათა სახალისო გახდეს დამატებითი მეცადინეობა,“ „„მშობლებთან გასაუბრებით,“ „„პროექტზე ორიენტირებული სწავლით“ და ა. შ.

კოლოსელ მისანსაც კი გაუჭირდებოდა ამ პასუხის გაგება, მაგრამ უმჯობესია მოთმინებით მივყვეთ საქმეს.

როგორც ხედავთ, მასწავლებლები პედაგოგიურ კატეგორიათა უბრალო კლასიფიკაციასაც კი ვერ ახერხებენ.

მათ პასუხებში პედაგოგიური კანონების ხსენებაც კი არ არის. პედაგოგიური კანონების გარეშე კი სასწავლო—აღმზრდელობითი პროცესი სტიქიურ—ინსტიქტურ დონეზე რჩება და განწირულია მარცხისთვის.

რაც შეეხება პედაგოგიურ პრინციპებს, იპოვით ალაგ—ალაგ. მაგალითად: შეგნებულობის პრინციპი, თანამშრომლობის პრინციპი და სწავლების ცხოვრებასთან დაკავშირების პრინციპი, მაგრამ კონტექსიდან ჩანს, მასწავლებელი არც ისე კარგად ერკევება მათ არსში. როგორც ცნობილია, პედაგოგიური პრინციპები პედაგოგიური კანონებითა და პედაგოგიური მიზნით არის განპირობებული და მასწავლებლისთვის ასრულებს მაორიენტირებელ ფუნქციას, ხელს უწყობს სასწავლო—აღმზრდელობითი პროცესის სწორად, მეცნიერულ დონეზე ორგანიზებასა და მართვას, მოსწავლეებთან ურთიერთობის დარეგულირებას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია პედაგოგიური პროცესის ეფექტურობა. ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის პედაგოგიური კანონიდან გამომდინარე, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, აღზრდაში დადგებითზე დაყრდნობის, მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემის, მისაწვდომობის და ა. შ. პრინციპთა გათვალისწინების გარეშე უბრალოდ არ შედგება სასწავლო პროცესი. სწორედ, ეს არშემდგარი პროცესია იმ პრობლემების მშობელი, რომელიც ეს—ეს არის მოვისმინეთ რესპონდენტ—მასწავლებლებისგან.

პედაგოგიურ მეთოდებთან დაკავშირებით გამოკითხულთა 42%—მა შედარებით მეტი განათლებულობა გამოავლინა, თუმცა ვერც აქ ნახავთ მეთოდთა კლასიფიკაციას ფუნქციის მიხედვით. მათ ძირითადად მოხმობილი აქვთ შეგნებაზე ზემოქმედების და წახალისების მეთოდები. როგორიცაა: საუბარი, დაინტერესება, დარიგება, დამოძღვრა, ახსნა—განმარტება. ასევე დასახელებული აქვთ ძალზე ზოგადი, დაუკონკრეტებული მეთოდები: „ვიყენებ ყველა თანამედროვე მეთოდებს, რომელიც ავითარებს სოციალურ უნარებს;“ ან კიდევ: „ახალ თანამედროვე ტექნოლოგიებს ვიყენებ“ და სხვა. საკუთრივ სწავლების მეთოდები: აკრომატიკული, ეროთემატიკული, პრაქტიკულ—

ლაბორატორიული, წიგნზე მუშაობის მეთოდები და ხერხები თითქმის არავის არ დაუსახელებია. არადა ყოველ გაკვეთილზე ნებისმიერი საგნის სწავლების მთავარი საგანმანათლებლო, განმავითარებელი, აღმზრდელობითი და შრომითი ფუნქციების რეალიზაცია მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგიური მიზნიდან გამომდინარე, შესაბამისი პედაგოგიური მეთოდების, კანონებისა და პრინციპების კომბინაციით, კომპლექსური მიდგომით ხორციელდება.

მოყვანილ მაგალითებში და მათთან საუბრებში არც პედაგოგიკური მეცნიერება და, მით უმეტეს, პედაგოგიური ხელოვნების აჩრდილიც კი არ ჩანს.

ასეთი ხელმოცარული მასწავლებელი პგავს ხელებ-მოჭრილ კაცს, ხეზე აცოცვას რომ ცდილობს.

ჩვენი პედაგოგიური დასკვნების ობიექტურობის გასამყარებლად აკლევითი სამუშაოები განვაგრძეთ უმაღლესი სასწავლებლების განათლების ფაკულტეტებზე იმავე პრობლემის სხვა ასპექტში განსაზღვრული თემატიკით. კვლევის საწყის ეტაზზე სკოლებში გამოვლენილი პრობლემების გათავალისწინებით განათლების ფაკულტეტებზე გავაძლიერეთ პედაგოგიკის კურსის სწავლება. სასწავლო წლის ბოლოს ჩავატარეთ კვლევა ექსპერიმენტული კვლევის შედეგების ოპტიმალურობის შემოწმების მიზნით. შევარჩიეთ მიზნის შესაბამისი თემა, რომლის პასუხები საშუალებას მოგვცემდა მოგვესმინა მათი შეფასებები თავიანთ მასწავლებელთა კვალიფიციურობისა და პედაგოგიკურ თეორიასთან სასკოლო პრაქტიკის შესაბამისობის, პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციიდან მათი თვალით დანახული სკოლის შესახებ. დაუსათაურეთ თემა: „ჩემი შეხედულებები მასწავლებელზე” და დავუკონკრეტეთ სტუდენტებს საკითხები კვლევის მიზნის შესაბამისად:

1. რა გაიგე მასწავლებლის შესახებ პედაგოგიკიდან?
2. როგორ შესაბამისობაშია, შენი აზრით, სკოლის რეალური სინამდვილე პედაგოგიკურ თეორიასთან?
3. მასწავლებლის რომელ თვისებებს დააყენებდი I და II ადგილზე?

ეს კვლევა ძალიან ნაყოფიერი ადმონინდა მოცულობის, რაოდნობისა და ინფორმაციულობის თვალსაზრისით. კვლევამ უნდაურად თითქმის მთელი საქართველო, ყველა ის რეგიონი, ქალაქები და სოფლები მოიცვა, საიდანაც არიან გამოკითხული რესპონდენტები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 332-მა სტუდენტმა.

პირველი კითხვის: „რა გაიგე მასწავლებლის შესახებ პედაგოგიდან?“ მიზანი იყო დაგვევლინა თუ რა მოცულობითა და სარისხით აითვისეს სტუდენტებმა პედაგოგის საფუძვლები, მისი თეორიული ნაწილი და რა დამოკიდებულება გაუჩნდათ მასწავლებლის პროფესიისადმი. მათი წერილობითი პასუხების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა 97%-მა მაღალი შეფასება მისცა პედაგოგიკის მეცნიერებას. რომ ამ მეცნიერებამ მათ დაანახვა თუ რა მისია აკისრია და რა თვისებები უნდა ჰქონდეს მასწავლებელს, კონკრეტულად თუ რა ცოდნა—გამოცდილების მარაგს უნდა ფლობდეს ის, რომ უმტკივნეულად შეძლოს თავისი პროფესიული და მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულება. აქ მოვიყანთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს მათი პასუხებიდან.

„... მასწავლებელს უდიდესი საზოგადოებრივი როლი აკისრია. მან უნდა უზრუნველყოს ღირსეული ახალი თაობის მომზადება. ვფიქრობ, რომ მასწავლებელი, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში სჭირდებათ ისეთი, რომელიც ბავშვებს აუხსნის ყველაფერს, რაც დააინტერსდებათ. გამოცდილებიდან ვიცი, რომ რასაც შთააგონებ ბავშვს პატარაობისას, იმას არასოდეს დაივიწყებს. ... მასზე დიდ გავლენას ახდენს მასწავლებელი“ (ბ. ტ., ქურსი).

პედაგოგიდან გავიგე, „რომ მასწავლებელმა წარმატებით შეასრულოს თავისი პროფესიული მოვალეობა, მას უნდა ახასიათებდეს შემდეგი თვისებები:

1. ქრისტიანული მორალი.
2. ბავშვის სიყვარული.
3. პროფესიული გატაცება.
4. თავისი საგნის ღრმად და ყოველმხრივ ცოდნა და მოსაზღვრე მეცნიერებათა საფუძვლების ფლობა

5. მასწავლებლის შრომის ობიექტის – ბაგშვის სიყვარული.
6. გადაცემის უნარი.
7. საქმისადმი შემოქმედებითი მიღვომის უნარი.
8. სიახლის, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ათვისებისა და პრაქტიკაში დანერგვის უნარი.
9. პედაგოგიური ტექნიკა: а) სინდისი, ბ) პედაგოგიური ეთიკა, გ) ავტორიტეტი, დ) პედაგოგიური ხელოვნება ანუ ოსტატობა; ე) ალლო და ინტუიცია, ვ) კომუნიკაბელურობა, ზ) პედაგოგიური ტაქტი, ი) ინტრაცია, მიმიკა და ა. შ.
10. ჩატმისა და ვარცხნილობის კულტურა.
11. ესთეტიკური გემოვნება.

ყველა, ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რათა იყო და გერქვას სრულფასოვნად ჩამოყალიბებული მასწავლებელი.” (ს. ყ. სკურსი). სტილი დაცულია.

ან კიდევ: „ჩემთვის სიტყვა „მასწავლებლის” არსი დღემდე გაუგებარი იყო. ის წარმოადგენდა მხოლოდ ისეთ ჩვეულებრივ სიტყვას, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი ვიყენებოთ ხოლმე საუბრის დროს. მაგრამ როცა პედაგოგიკის ამ უმშვენიერეს წიგნს გავეცანი, მივხვდი, რომ როდესაც მე პირველ კლასში შევედი, ადამიანი, რომელიც მე მისესნიდა გაკვეთილს იყო არა მარტო ჩვეულებრივი ადამიანი, როგორც ყველა, არამედ ნამდვილი მასწავლებელი თავისი პედაგოგიური გაებით. . . ამ განმარტების (მხედველობაშია მასწავლებლის ცნების ღევინიცია-გ.ხ.) შემდგებ უფრო გავაცნობიერე მასწავლებლის არსი. . . ” (მ.პ. სკურსი).

ამ სიტყვების ავტორი გულწრფელად აცხადებს, რომ სათანადო ინფორმაციამ მისცა საშუალება პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის შედარების გზით ობიექტურად შეეფასებინა თავისი პირველი მასწავლებლი. დაუნახა მასწავლებლის პროფესიის განსაკუთრებულობა და ხიბლი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე ერთ-ერთი სტუდენტი წერს: „პედაგოგიკის შესწავლისას მივხვდი

მასწავლებელს თუ რა ურთიელესი ამოცანები აკისრია. მან ბავშვი უნდა აქციოს სრულფასოვან პიროვნებად, რომ მან დაიკავოს საზოგადოებაში კუთვნილი ადგილი” (ქბ. ქურსი).

სტუდენტი იქვე ჩამოთვლის ადზრდის იმ კომპონენტებს, რომელთა ერთობლიობა აქცევს ბავშვს სრულფასოვან პიროვნებად. როგორც ჩანს, მან კარგად გაიცნობიერა მასწავლებლის დიდი მისია.

იგივე კითხვაზე სხვა სტუდენტი პასუხობს: „პედაგოგიდან მასწავლებლის შესახებ უამრავი ინფორმაცია მივიღე. მან დამანახა მასწავლებლის როლი საზოგადოებაში. რომ მასწავლებელი მნიშვნელოვანი ფიგურაა. მან უნდა აღზარდოს აღსაზრდელი სრულფასოვან პიროვნებად. . . პედაგოგიურ საქმიანობას აუცილებლად სჭირდება გული, გრძნობები, ბავშვის სიყვარული. პედაგოგიდან ასევე გავიგე, რომ მასწავლებელს თავისი პროფესია უნდა უყვარდეს, მაღალებრივიციური, პროფესიონალი უნდა იყოს, რადგან მას ურთიერთობა აქვს ბავშვთან, რომელიც ცხოვრების სწორ გზაზე უნდა დააყენოს. . . ამისთვის მასწავლებელს სჭირდება შემდეგი თვისებები: ქრისტიანული მორალი, პროფესიული გატაცება, განსწავლულობა და ერუდიცია, კომუნიკაციელურობა და მეტყველების კულტურა, საქმისადმი შემოქმედებითი მიღომის უნარი, პედაგოგიური ოპტიმიზმი, სიახლის შეგრძნების უნარი, პედაგოგიური ოსტატობა” (ქ. ქ., ქურსი).

მოტანილი მონაკვეთიდან ჩანს, რომ სტუდენტს გააზრებული აქვს მასწავლებლის საზოგადოებრივი როლი, მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები, და, რაც მთავარია, ყურადღება გამახვილებული აქვს იმაზე, რომ პედაგოგიური წარმატებისთვის მარტო კვალიფიკაცია და განსწავლულობა არ არის საქმარისი, ამასთანავე აუცილებელია გული და გრძნობები, კერძოდ, როგორც აღსაზრდელისადმი, ასევე საქმისადმი სიყვარული.

„პედაგოგიკამ მასწავლებლის პროფესიაზე უფრო სერიოზული წარმოდგენა შემიქმნა. თურმე მასწავლებელზე ბევრად არის დამოკიდებული ერის წარმატება, მაგ-

რამ მასწავლებელი უნდა იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან უდიდესი ყურადღებით, ზრუნვითა და პატივისცემით განებივრებული ისე, როგორც ეს ლექტორმა გვითხრა ანტიკური საბერძნეთისა და რომის მაგალითზე. იქ თურმე იმპერატორები ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლის სასარგებლოდ ბრძანებებსა და განკარგულებებს გამოსცემდნენ მათ წასახალისებლად, მათი მორალური და მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჩვენთან კი ვის ახსოვს მასწავლებელი” (ნ.ფ. ქურსი).

ავტორს ჩამოთვლილი აქვს ის მოთხოვნები, რომელსაც უყვენებს მასწავლებელს საზოგადოება. მაგრამ აქ არ გადმოვიტანთ ციტატას, რომ ნაშრომს ავარიდოთ გადატვირთულობა. ვისაც აინტერესებს, „შეუძლია ნახოს ნ. ფ. ხელნაწერში, რომელიც ჩვენს კალევით ინსტიტუტში ინახება. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სტუდენტის აზრით, მასწავლებელს არა მარტო გაცემას კი არ უნდა ვთხოვდეთ, არამედ იქითაც უნდა მიიღოს ის, რასაც იმსახურებს და მაშინ შეასრულებს თავის განსაკუთრებულ მისიას, რომ სიხარულით იზრუნოს სხვისი შვილების აღზრდაზე.

კიდევ ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო მეტი დამაჯერებლობისთვის, რომ სარწმუნო იყოს ჩვენი პედაგოგიური დასკვნები მასწავლებლის პროფესიულ მომზადებაში პედაგოგიკის მეცნიერების როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

„მასწავლებლის შესახებ გავიგე ის, რაზედაც წარმოდგენა არ მქონდა როცა ამ პროფესიას ვირჩევდი. ახლა მივხვდი სწორი არჩევანი გავაკეთე, თუმცა ძალიან მეშინია, გავართმევ კი თავს. . .” (თ. გ. III კურსი).

აქვე მინდა მივაბა სხვა სტუდენტის მსგავსი მოსაზრება: „მასწავლებლის პროფესიაზე უამრავი საინტერესო და ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი გავიგე. აქამდე არც დავფიქრებულვარ იმაზე, თუ ასეთი საპასუხისმგებლო და ზოგადსაკაცობრიო როლი ჰქონდა მასწავლებელს. სიმართლე გითხრათ გავიგე თუ არა ცოტა შემეშინდა, შევცდი და დავფიქრდი შევძლებ თუ არა ამ სა-

სიამოგნო და ძალიან რთული ტგირთის ტარებას, იმ სიმაღლეზე ატანას, სადაც ჩემი პროფესიული ცოდნა, მოვალეობა გაბრწყინებული იქნება. მაგრამ ჩემი არჩევანის სისწორეში დარწმუნებული ვარ და არ ვნანაობ განათლების ფაქულტეტის სტუდენტი რომ ვარ. ახლა კი მე მგონია ლირსეულად შეგვდგები ავითვისო საფუძვლიანად და პროფესიონალურად მასწავლებლის პროფესია. პედაგოგიდან გავიგე, რომ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სპეციალური პედაგოგიური განათლება, ფლობდეს სწავლებისა და აღზრდის თეორიას და კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა—გამოცდილება წარმატებით გადასცეს ახალ თაობას იმისათვის, რომ მოემზადონ თავიანთი დამოუკიდებელი ცხერებისათვის. . . პედაგოგიკამ მასწავლა, რომ მასწავლებლობა დამოუკიდებელი პროფესია. სხვისი სწავლება და დამოძღვრა მართლაც დიდი პატივია და მასწავლებელს ამის მორალური, ინტელექტუალური და პროფესიული უფლება უნდა ჰქონდეს მოპოვებული თავისი განათლებით, პატიოსნებით, კეთილზნეობით, შრომისმოვარეობით და სხვა პიროვნული და პროფესიული თვისებებით” (ნ. მ. ქურსი).

მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებით აქ მოტანილ ციტატებში კარგად ჩანს პედაგოგიკის მეცნიერების როლი სტუდენტებში სწორი თვალსაზრისის ჩამოყალიბებასა და სასწავლო მოტივაციის შექმნაში, პედაგოგიურ–ზნეობრივი შეგნებისა და გრძნობების განვითარებაში, შემეცნებითი ინტერესის აღძვრაში. პედაგოგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

„სიმართლე ვთქვა, თავიდან არ მინდოდა ეს პროფესია, მაგრამ როცა პირველ ლექციაზე ლექტორი . . . შემოვიდა, ისე კარგად აგვისხნა მასწავლებლის როლი საზოგადოებაში, რომ გულში გავიფიქრე, „თეა ზუსტად იქ მოხვდი, სადაც უნდა მოხვდორილიყავი. . . პედაგოგიკიდან ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციები მივიღე მასწავლებელზე” (თ. ? I ქურსი). და თეას იქვე აქვს ჩამოთვლილი ყველა ის პიროვნული და პროფესიული თვისებები, რაც უნდა ახასიათებდეს ჭეშმარიტ მასწავლე-

ბელს, რომელთა შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვთ პრაქტიკოს მასწავლებელთა დიდ ნაწილს.

აյ მინდოდა შემეწყვიტა პირველი კითხვის პასუხებზე მსჯელობა, მაგრამ, აბა, როგორ შეიძლება არ გამოიყენო მარიამის სიტყვები.

„ჩემი შეხედულება მასწავლებლის პროფესიაზე არ იყო დადგებითი მანამ, სანამ უნივერსიტეტში არ მოვისმინე თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს პროფესია. საკმარისი იყო პირველი ორი ლექცია . . . რომ ნათლად, სრულად, სრულყოფილად გამგეო თუ რა როლი აქვს პედაგოგსა და პედაგოგიკას და რაოდენ მნიშვნელოვანია ის საზოგადოებისათვის. ის, რაც ძალიან აღვიდად მეჩვენებოდა, თურმე ყველაზე რთული ყოფილა და ახლა გვიქრობ-შევძლებ ვიყო დირსეული პედაგოგი?! აღვუზარდო ქვეყანას ღირსეული თაობა? დაგაეცნო ბაგშვი გონებრივად, ფიზიკურად, სულიერად, ზნეობრივად, ესთეტიკურად განვითარების გზაზე?—არ ვიცი, ძალიან რთულია მართლაც. მაგრამ მთავარია სურვილი, მონდომება და ყველაფერი გამოვა, კველაფერს შევძლებთ თუ მოვინდომებთ.”(მ.ბ. ქურსი).

საკვლევი პრობლემის პირველ კითხავაზე სტუდენტთა მიერ გაცემული პასუხები თითქმის ყველა ამგვარი პათოსითაა დაწერილი. ისინი გულწრფელი მადლიერებით წერენ იმის შესახებ, რომ პედაგოგიკის მეშვეობით გაიგეს ამ „უპრესტიური“ პროფესიის უდიდესი პრესტიულობის, მისი პირველი და საზოგადოებრივი როლისა და მნიშვნელობის შესახებ, რამაც საოცრად შეუწყო ხელი სტუდენტებში მასწავლებლის პროფესიისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების, პედაგოგიური მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირებას.

ჯეკ თერნბული დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებლის პროფესიულ მახასიათებლებს და გვთავაზობს ფსიქოლოგის თვალით დანახულ მისეულ მოსაზრებებს ამასთან დაკავშირებით წიგნში „პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი,” თ. ნეფარიძის თარგმანი გამოცემული 2009 წელს „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის” მიერ, რომელთა გათვალისწი-

ნება კიდევ უფრო გაამდიდრებს და გააღრმავებს მასწავლებლის პროფესიულ შესაძლებლობებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელაღებით უარვეოთ პედაგოგიკის მეცნიერების ის ფუნდამენტურ-კლასიკური მონაპოვარი, რაზედაც დგას ეს მეცნიერება და თავდავიწყებით, ანგარიშმიუცემლად ავიტაცოთ მოხალისეთა მოსაზრებები, თითქოს დღემდე არ გვსმენია მსგავსი სიბრძნეები. ეს მოსდიოთ მათ, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ პედაგოგიკურ მეცნიერებაზე.

მკითხველს შედარების საშუალება რომ პქონდეს სათანადო დასკენის გასაკეთობლად, შევაპირისპირებთ პედაგოგიკაში დადგენილ და ჯ. თერნბულის მიერ შემოთავაზებულ პროფესიონალი მასწავლებლის მახასიათებლებს.

პედაგოგიკის მიხედვით:

1. ქრისტიანული მორალი
2. პროფესიული გატაცება, პროფესიული სიამაყენებები
3. თავისი სასწავლო საგნის სიღრმისეული ხოლო მოსაზღვრე მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლების ცოდნა
4. ბავშვის სიყვარული
5. გადაცემის (სწავლების) უნარი
6. საქმისადმი შემოქმედებითი მიღგომის უნარი
7. სიახლის შეგრძენების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შემოქმედებითად ათვისებისა და აღგილობრივი საეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკაში დანერგვის უნარი
8. პედაგოგიური ტექნიკა ანუ ოსტატობა— ავტორიტეტი, პედაგოგიური ეთიკა, მიმიკა, ინტონაცია, ჟესტიკულაცია, მანერები, ინტუიცია, ალლო
9. კომუნიკაბელურობა, იდენტიფიკაციის უნარი მოსწავლის სულიერ-ემოციურ მდგომარეობასთან
10. გარეგნული იერ-სახე: ჩაცმისა და ვარცხნილობის კულტურა
11. ესთეტიკური კულტურა
12. მეტყველების კულტურა და ა. შ.

13. თანადგომისა და თანამშრომლობის სურვილი და უნარი.
  14. პედაგოგიური პროცესისა და ურთიერთობების ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მართვის უნარი დემოკრატიზმისა და პუმანიზმის საფუძველზე
  15. პედაგოგიური ოპტიმიზმი და ა. შ.
- ახლა ვნახოთ ჯ. თერნბულისეული 9 მახასიათებელი:
1. ფიქრი საქუთარ თაგზე
  2. საფუძველი თავდაჯერებული მუშაობისათვის
  3. სტრესის დაძლევა
  4. დროის განაწილება
  5. ორმხრივი ნდობის ჩამოყალიბება
  6. ყურადღებით მოსმენა
  7. გავლენიანი მოქმედება
  8. ლიდერის გავლენის ქცევის ფორმები
  9. გავლენის სფეროს გაფართოება.
- რა არის აქ ისეთი სიახლე, რაც პედაგოგიკაში არ არის, რომ ის, რაც პედაგოგიკაში არის ჩავთვალოთ მოძველებურად, კომუნისტურ გადმონაშთად და პანაცე-ად მივიღოთ ჯერ თერნბული. თუმცა ამის წაკითხვა-გაცნობაში ცუდი არაფერია მასწავლებლის პიროვნული და პროფესიული თვისებების გაღრმავება-განმტკიცების თვალსაზრისით, ოდონდ პრობლემა იმაშია, რომ თავს ვისულელებთ, პედაგოგიკოსებს თითქოს დღემდე არაფერი გვცოლნია და სულზე მოგვისწრეს უცხოელმა ფსიქოლოგებმა. აქვე მინდა დავამატო, რომ პედაგოგიკის ევროპულ წარმომავლობაზე ჩვენ ბევრად მეტი ვიცით, ვიდრე თვით ევროპელებმა კაპიტალისტური წყობილების ბუნებიდან გამომდინარე. მათ მხოლოდ ის აინტერესებთ, რაც მეტ ფინანსურ მოგებას მოუტანთ დღეს და არა კლასიკური, ზოგადკაცობრიული და მარა-დიული დირებულებები. ამიტომაა ცუდად დღეს მსოფლიო თუნდაც ეკოლოგიური და ეკონომიური საფრთხეების თვალსაზრისით ზნეობრიობაზე და სულიერობაზე რომ არაფერი გთქვათ.

ახლა კი განვაგრძოთ პეტევის შემდეგი მასალების განხილვა.

პედაგოგიკის საფუძვლების შესწავლამ სტუდენტებს მისცა საშუალება თავიანთი გამოცდილებიდან მოეხდინათ პედაგოგიკურ თეორიასა და სასკოლო პრაქტიკას შორის შედარებითი ანალიზი და გამოეტანათ სათანადო დასკვნები. თუ როგორ მოახერხეს მათ ეს, ამას გავიგებთ მათმიერვე მეორე კითხვაზე გაცემული პასუხებიდან.

მეორე კითხვაზე: „როგორ შესაბამისობაშია თქვენი აზრით სკოლის რეალური სინამდვილე პედაგოგიკურ თეორიასთან?“ — მივიღეთ შემდეგი პასუხები:

„რაც შექება დღევანდელ რეალურ სინამდვილეს, არსებობენ ნამდვილი, ჰეშმარიტი მასწავლებლები და უბრალოდ მასწავლებლები. არა მგონია დღევანდელობაში ბევრი იყოს ისეთი მასწავლებელი, რომელიც ხელმძღვანელობდეს პედაგოგიური თეორიებით და პრინციპებით. არიან ისეთებიც, რომლებმაც არც კი იციან ამ თეორიებისა და პრინციპების არსებობის შესახებ. სწორედ ამიტომ ისინი ვერ ახერხებენ მოსწავლეს შეაყვარონ საგანი. . . . სამწუხაროდ, მეც მყოლია არაობიექტური მასწავლებელი და სწორედ მან შემაძულა საგანი“ (თ. ბ. I კურსი).

ამგვარივე წუხილია გამოხატული სხვა სტუდენტების პასუხებშიც.

„ხშირ შემთხვევაში რეალური სინამდვილე პედაგოგიურ თეორიასთან შესაბამისობაში არ არის. მაგალითად: მე მყავდა სკოლაში მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც იყო ანგარებიანი, უტაქტო და ხშირ შემთხვევაში ბავშვებს სცემდა კიდეც ყოველთვის ვცდილობდი, რომ მასში რაღაც დადებითი, ღირსეული თვისება ამომეკითხა, მაგრამ სამწუხაროდ, სკოლა ისე დავამთავრე, ამ მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ მასწავლებელს არც კი სმენია აუცილებელი პედაგოგიური თვისებების შესახებ, პედაგოგიურ კანონზომიერებებზე რომ არაფერი ვთქვათ“ (თ. კ. I კურსი).

როგორც ვხედავთ, მოსწავლეებს არ გამოეპარებათ მასწავლებლის დირსებაც და ნაკლიც. მოსწავლეზე დიდ ზეგავლენას ახდენს მასწავლებლის პიროვნული თვისებები და პროფესიონალიზმი. ის განსაზღვრავს აღსაზრელის დამოკიდებულებას, მის შემეცნებით აქტივობას სწავლა-განათლებისადმი.

იგივე სტუდენტი დღესაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს თავის პირველ მასწავლებელს, რომელმაც ყურადღება და სიყვარული აჩუქა: „ . . . ტირილით დაოსებულს ლამაზი, შავთმიანი ქალბატონი დამხვდა (კლასში-გ.ხ.) , გულთბილად მიმიღო, მომეფერა. ეს იყო ჩემი პირველი მასწავლებელი და დამრიგებული, რომელიც შემდეგში ჩემი მეორე დედა, მეგობარი და მისაბაძი ადამიანი გახდა.”

დიახ, რომელ აღსაზრდელს არ აღაფრთოვანებს და არ აღავსებს სიხარულითა და სტიმულით უფროსებისაგან და, განსაკუთრებით, მასწავლებლისგან გულთბილი, მეგობრული, ტაქტიანი ურთიერთობა! აქ აღბათ, მოგაგონდათ რუსთაველის უკვდავი სიტყვები: „ბგელს ხერჯლიდან გამოიყვანს ენა ტქბილად მოუბარი.”

როგორც ცნობილია, ბაგშეს ახასიათებს უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა და მიმბაძეველობა, როგორც მისი განვითარების ტენდენციის გამოხატულება. „მართალია, წიგნის კითხვა - წერს კვინტილიანე - საქმარის მაგალითებს იძლევა მიბაძისათვის, მაგრამ უფრო მეტად მოქმედებს მასზე საყვარელი და პატივსაცემი მასწავლებელი . . . აბა, წაროიდგინეთ, თუ როგორი მიღრეკილება გვაქვს მიგბაძოთ მას, ვისაც სულიერად ვეყრდნობით . . . დიახ, მასწავლებელი, ეს არის ჩვენი სულიერი საყრდენი” (მ. ფ. კვინტილიანე, „ორატორის დარიგებანი”, წიგნი I, ო. III, გვ. 81). ამიტომ მასწავლებელი უნდა იყოს უზადო და წუნდაუდებელი და რაც უფრო სწორად და ინტენსიურად მოახდენს მისი ცნობისმოყვარეობის კანონიერი მოთხოვნების დაქმაყოფილებას, მით უფრო დროულად და წარმატებით ხდება მოსწავლის პიროვნების განვითარება, მისი გრძნობების გაფაქიზება. ახლა მო-

ვუსმინოთ თვითონ სტუდენტს, თუ რას ფიქრობს ის ამასთან დაკაგშირებით:

„ . . . უახლოეს ადამიანად პირველი მასწავლებელი მიმაჩნდა. მახსოვეს პირველი გაკვეთილიც კი, დამრიგებლის ყველა ქცევა მისაბაძი იყო. მინდოდა მასავით ჩამეცვა, მესაუბრა და დამეწერა. მისი მიბაძვით მქონდა მიზნად დასახული გამხდარიყვავი მასწავლებელი და ახლა ყველანაირად შევეცდები მასავით არაჩვეულებრივი მასწავლებელი გავხდე” (თ. ბ. I კურსი).

როგორც ვხედავთ, გონიერმა მასწავლებელმა იმთავოთვე მიზნობრივი გახადა მოსწავლის ცხოვრება და განსაზღვრა მისი მომავალი.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ყველა მასწავლებელზე. აი, ერთერთი სტუდენტი როგორ იხსენებს თავის ზოგიერთ ყოფილ მასწავლებელს:

„იმის შემდეგ, როცა გაიგებ რას წარმოადგენს საერთოდ პედაგოგიკა, ვინ არის პედაგოგი, ვერანაირ შესაბამისობაში ვერ მოიყვან რეალურ სინამდვილესთან, დღევანდელობასთან, რადგან რადიკალური განსხვავებაა თეორიასა და პრაქტიკას შორის. თეორიაში ნახსენები ეთიკა, მორალი, მოქცევა, შრომისუნარიანობა (იგულისხმება პედაგოგიურ შრომა-გ. ხ.) – სულ უცხო ხილია დღევანდელი მასწავლებლების უმრავლესობისათვის” (მ. ბ. I კურსი).

ან კიდევ: „დღესდღეობით, სამწუხაროდ, იშვიათია მასწავლებელი, რომელიც აქმაყოფილებს მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმებს. სამწუხაროდ, ისინი არა მარტო უხეშები და არაობიერებულები არიან, არამედ საკმარისი ცოდნაც არ გააჩნიათ საკუთარ საგანში. მასწავლებელი, რომელიც ზის გაკვეთილზე გადაშლილი წიგნით და მთელი გაკვეთილის განმავლობაში კითხულობს და ამ სახით, ვითომ ხსნის გაკვეთილს, თვითონ კი ერთი სიტყვის ჩამატებაც არ შეუძლია და იძნევა კიდეც, როდესაც უცებ მოსწავლე რამეს შეექითხება. ეს კი ძალიან ცუდად მოქმედებს აღსაზრდელზე. ასეთ გაკვეთილზე მოსწავლეს ეკარგება საგნის სწავლის სურვილი და მასწავლებლისადმი პატივისცემა. პირადად მე

მყავდა მასწავლებელი, რომელმაც ლამის შემაძულა საყვარელი საგანი თავისი საშინელი ხასიათით, ძალიან ცუდი მიღომით საგნისა და მოსწავლეების მიმართ და იმით, რომ ის იყო მოზეპირე მასწავლებელი და შებრუნებული წინადაღებაც, რომელიც სხვის მიერ წარმოითქმებოდა, მისთვის დამაბნეველი და ზოგჯერ აზრების გამფანტველიც კი ხდებოდა” (ა. მ. ქურსი).

მსგავსი აზრია გატარებული რ. ბ. ნაწერში. სტუდენტი ჯერ ჩამოთვლის პედაგოგიკით გათვალისწინებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს და ამის შემდეგ აკეთებს ასეთ დასკვნას: „სამწუხაროდ, არიან ისეთი მასწავლებლები, რომლებსაც ეს თვისებები არ გააჩნიათ და შესაბამისად ის სწორად ვერ მართავს პედაგოგიურ პროცესს, სადაც ბავშვის აღზრდაა მნიშვნელოვანი. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ჩემი მასწავლებელი, რომელიც ბავშვს ვერ იმორჩილებდა გაკვეთილზე. მის გაკვეთილზე მუდამ იყო ხმაური, ყვირილი, ერთ და იმავეს თქმა: „გაჩერდით”, „გაჩერდით”, მაგრამ ჩვენ მაინც არ გჩერდებოდით. მაშინ არ მესმოდა რატომ ხდებოდა ასე, რატომ ვერ გვაჩერებდა. ახლა კი, როცა წარმოდგენა შემექმნა პედაგოგიაზე, ვხვდებით ურა თვისებები აკლდა მას. მან კი იცოდა თავისი საგანი, მაგრამ აკლდა მასწავლებლის თვისებები” (რ. ბ. ქურსი).

მასწავლებლის უტყუარი მსაჯული მისსივე მოსწავლეები არიან. ისინი მწუხარებით აღნიშნავენ არააღეპატურ მასწავლებელთა პედაგოგიურ საქმიანობას, სამაგიეროდ გაბრწყინებულები გვიყვებიან საყვარელ მასწავლებელთა შესახებ:

„... მაგრამ საბედნიეროდ, მათ საპირისპიროდ არიან ობიექტური, ღირსეული, აღეკვატური პედაგოგები, რომლებსაც უყვართ საკუთარი პროფესია და ქრისტიანული მორალის გათვალისწინებით უყვართ აღსაზრდელიც” (მ. კ. ქურსი).

ასევე კეთილმოსაგონრად დარჩა სტუდენტს მისი პირველი მასწავლებელი:

„12 წელი ვისწავლე სკოლაში და უამრავ მასწავლებელთან მქონია შეხება. როცა დაწყებით კლასებში ვიყავი, ჩემთვის ჩემი მასწავლებელი ყველაფერი იყო. მახსოვს როგორ ვაკვირდებოდი მის ყველა ქცევას, უსტს, მისი სუნიც კი მახსოვს. მქონდა დიდი რიდი და მოწიწება მისდამი. ვცდილობდი მიმებაძა მისოვის, მინდოდა მეც მასწავლებელი გამოვსულვიყავი, რაღან მან შემაყვარა ეს პროფესია. მას შემდეგ დრო გავიდა. კლასიდან კლასში გადავდიოდი და ბევრ მასწავლებელთან მიხდებოდა ურთიერთობა, თუმცა პირველი მასწავლებელი წარუშლელი იყო ჩემს მეხსიერებაში. ხშირად გონებაში ვაკეთებდი შედარებას და ვხედავდი თუ როგორ განსხვავდებოდნენ ისინი ერთმენტისგან. ზოგში იმასაც ვამჩნევდი, რომ მასში არ იყო ბავშვის სიყვარული, ერთი სული პქონდათ თუ როდის დაირეკებოდა ზარი. ასეთი მასწავლებლები ბავშვის სიყვარულს არ იმსახურებენ, თუმცა თვითონ მოიხვევნ პატივისცემას და პასუხისმგებლობას ბავშვისგან.

ახლა, როცა მე ბევრი რამ გავიგე მასწავლებლის პროფესიაზე და ვიცი ამ პროფესიის პირდაპირი განმარტება, ბევრ კითხვას გაეცა პასუხი” (თ.გ. ქ. გურისი).

აქედან ჩანს, რომ კარგად არ კვევს სტუდენტი მასწავლებლის პროფესიულ შესაბამისობა—შეუსაბამობას პედაგოგიკაში დადგენილი პედაგოგიური კრიტერიუმების მიხედვით. მოსწავლეობის პერიოდშიც გრძნობენ ამას სტუდენტები ინტუიციურად, რაც სიცოცხლის ბოლომდე რჩებათ მეხსიერებაში.

ერთი სტუდენტი იგონებს: „დაწყებით კლასებში მასწავლიდა ისეთი მასწავლებელი, რომელსაც მასწავლებლის არც ერთი თვისება არ გააჩნდა. ერთხელ გაკეტილზე ჩემმა კლასელმა ეს მასწავლებელი გააბრაზა. მან კი ამ ბავშვს თავისი საფულე გაუქანა. შემთხვევაზე ეს საფულე მის გვერდით მჯდომს მოხვდა. ამ ბავშვმა ტირილი დაიწყო. მასწავლებელმა კი უთხრა: თუ გაჩუმდები წლის ბოლოს ხუთიანს გამოგაყოლებო. ყოველ გაპეტილზე წუწუნებდა. ახლაც ჩამესმის მისი წუწუნი” (თ. ჭ. ქ. გურისი).

ამ მასწავლებლის პრობლემას შესაბამისი შეფასება გაუკეთა სტუდენტმა. ცხადია, რომ იგი პროფესიულ დუ-ფიციტს განიცდიდა, მაგრამ მას ამავდროულად ბუნებ-რიგი პიროვნული ოვისებებიც აკლდა.

სინანულით საუბრობს სტუდენტი, რომ მას არ აგონ-დება ისეთი მასწავლებელი, რომ პროფესიულ მოთხოვ-ნებთან აღეკვატური ყოფილიყო: „ერთი წელია რაც სკო-ლა დავამთავრე და გული მწყდება, რომ არასოდეს არ მყოლია ისეთი მასწავლებელი, რომელიც გონებაში იღეა-ლად მყავდა წარმოდგენილი. პედაგოგი, რომელიც, რო-გორც პედაგოგიკა მოითხოვს, იქნებოდა თავის საგანში დრმად განსწავლული, ქრისტიანული მორალის მატარებე-ლი, და რომელსაც უქნებოდა პედაგოგიური ოსტატობა, პედაგოგიური სტრატეგია და ტაქტი და, პირველ რიგში . . . აგზორიტეტი. ყოველთვის ულიმდამოდ მიმდინარეობდა საგაევეთილო პროცესი. რადგან ბავშვები ვგრძნობდით, რომ მასწავლებლები ჩვენთან არა საკუთარი მოვალეო-ბის გულწრფელად და სიყვარულით აღსასრულებლად, არამედ ანაზღაურების მიღების მიზნით მოდიოდნენ . . . მას პედაგოგს ვერ ვუწოდებ, რადგან არ მინდა ეს სიტყვა გაუფასურდეს და ის მნიშვნელობა დაკარგოს, რაც გააჩ-ნია. განსაკუთრებით ერთს გამოვყოფდი, რომელსაც ფი-ზიკა-მათემატიკური განათლება ჰქონდა მიღებული. ის მე საზოას მასწავლიდა. ამ საგნის სასწავლო პროგრამიდან ამოღების შემდგა ხელოვნების მასწავლებლად გადაიყვა-ნეს, მხოლოდ იმიტომ, რომ დირექტორის ახლობელი იყო. . . რაც მის „პედაგოგიურ მოღვაწეობაზე“ შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ მან ყველა მოსწავლეს, ვისაც ას-წავლიდა, შეაძლება ხელოვნება. ეს მის მაგალითზე დავი-ნახე, რომ ყველა ადამიანი არ არის მოწოდებული იმი-სათვის, იყოს მასწავლებელი, რადგან შეუგნებლად არჩე-ულმა ამ პროფესიამ შეიძლება აღსახრდელს ცნობიერება დაუმახინჯოს“ (თ. ა. ქურსი).

ასეთივე აზრია გატარებული მ. ტ. ნაწერში. მოვუსმი-ნოთ თავად მას. „ჩემი აზრით, დღესდღეობით მასწავლებ-ლები პედაგოგიკურ თეორიას მოკლებული არიან. . . . მექმნება შთაბეჭდილება, რომ ამ მასწავლებლებს არას-

დროს პქნიათ შეხება პედაგოგიკასთან. მე პირადად, როცა ამ საგნის სწავლება დავიწყე, მაშინ გავიგე, შეძლებისდაგვარად, ჩემი მასწავლებლების ნაკლი. . . “ (მ.ტ. ქურსი).

ამ ციტატაში ჩანს, რომ სტუდენტს გაცნობიერებული აქვს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის აუცილებლობა და აკეთებს ობიექტურ დასკვნას, რომ აღნიშნული პრობლების მიზეზი, სწორედ, საქმისადმი არამეცნიერული მიღებობაა.

ჰეშმარიტი მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმის ცოდნამ სტუდენტს მისცა საშუალება გაერჩია მასწავლებლის ნაკლიც და დირსებაც. ვინმეს არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ეს სტუდენტი რადიკალისტია, აქვე მოვიტანთ საპირისპირო მაგალითს:

„ვერ ვიტყვი, რომ ყველა მასწავლებელი ასეთი იყო. მყავდა ისეთებიც, რომლებმაც იცოდნენ და კარგად ხვდებოდნენ ბავშვთა ფსიქოლოგიას.“ ის თბილად იგონებს თავის რუსული ენის და ქართულის მასწავლებლებს. მათში განსაკუთრებით გამოყოფს მოსწავლეების მიმართ სიყვარულს. ბიბლიიაც ხომ ამას გვასწავლის, რომ მხოლოდ სიყვარულია ყოველი სიკეთის, მშვიდობისა და ბედნიერების მთავარი წყარო.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, საკმარისია, ყველაზერი გასაგებიაო! გთხოვთ კიდევ ცოტა ხანს ვიქონიოთ მოთმინება და გავიგოთ, სტუდენტთა უმრავლესობა ფიჭრობს ასე, თუ უმცირესობა, რომ ჩვენი დასკვნები უფრო სარწმუნო იყოს, მეორეც, სტუდენტები იმსახურებენ იმას, რომ მათი აზრები მოვისმინოთ და ამასთანავე ჩვენც გვსურს გავიგოთ ჩვენმა შრომაშ რა ნაყოფი გამოიღო.

გ. მ. წერს: „რაც შეეხება რეალური სინამდვილის პედაგოგიურ თეორიასთან შესაბამისობას, ვიტყოდი იმას, რომ დღესდღობით ნამდვილად არავინ მისდევს ამ თეორიებს და არავინ იცავს იმ კანონებსა და პრინციპებს, რომელიც დაწესებულია. ისინი თავიანთ „ადათ-წესებით“ ზრდიან და მერე ყველაფერს ბავშვებს აბრალებენ. რა თქმა უნდა, ეს ყველა მასწავლებელს არ შეეხება, მაგრამ

უმეტესობა ასეა. არც უცხოეთიდან ჩამოყვანილი მასწავლებლების რეფორმას ვეთანხმები. . . ” (ძურსი).

მ. ნ. იგივე აზრს ავითარებს თავის ნაწერში: „მე ვფიქრობ, რომ დღევანდელი სინამდვილე სრულიად არ შეესაბამება პედაგოგიკურ თეორიას, რადგან, სამწუხაროდ, არსებობენ ისეთი პედაგოგები, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ეს კი მე დიდ დანაშაულად მიმაჩნია. რადგან თუ მასწავლებელმა არ იზრუნა აღსაზრდელის გონიერიგად, ზნეობრიგად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად ჩამოყალიბებაზე, ასეთი პედაგოგი, მე ვთვლი, რომ ჩადის ზოგადსაკაცობრიო დანაშაულს” (ძურსი).

სტუდენტებმა სასკოლო პრაქტიკისა და პედაგოგიკური თეორიის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნათლად დაინახეს სხვაობა რეალურსა და იდეალურს შორის, დამნაშავედ ჩათვალეს უმეცნიერო, სუბიექტურ მოსაზრებებზე დაიმედებული მასწავლებელები.

მათ ვერავინ დასწამებს უმაღლურობას, რადგან ისინი კომპენტენტურ მასწავლებელს ღირსეულ პატივს მიაგებენ.

კიდევ ორი მაგალითი მინდა მოვიყვანო და ვფიქრობ მართლა საქმარისი იქნება იმის გასაგებად თუ რა ვითარებაა ჩვენი სკოლების სინამდვილეში.

„დღეს, ჩვენს რეალურ ცხოვრებაში, ჩემი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ძნელი იქნება ან საერთოდ ვერ მოძებნიან ისეთ მასწავლებელს, რომელსაც ახასიათებს ყველა პედაგოგიკური თვისება. ასევე ეჭვი მეპარება იცოდნენ ის პედაგოგიკური კანონები და პრინციპები, რაც ასე აუცილებელი ყოფილა პედაგოგისათვის. . . მყავდა მასწავლებელი, რომელმაც მხოლოდ ერთი თვე გვასწავლა იმის გამო, რომ კლასის ბიჭები აბრაზებდნენ, შუა გაეკეთილიდან გარბოდა ხოლმე და თავს გვანებებდა. მე მიმაჩნია, რომ ნამდვილმა მასწავლებელმა უნდა მოახერხოს ყველა მოსწავლესთან საერთო ენის გამონახვა, პატივი უნდა სცეს ბავშვის პიროვნებას და გამოსაგალი არ უნდა იპოვოს გაქცევაში” (მ.ქ. I კურსი).

სტუდენტი გაპვეთილიდან გაქცეული მასწავლებლის პრობლემას ობიექტურ მიზეზს უძებნის და მას არაკვლიფიციურობაში, კერძოდ, პედაგოგიური კანონებისა და პრინციპების უცოდინარობაში, პროფესიასთან შეუსაბამობაში ადანაშაულებს.

„სკოლის რეალობა ნამდვილად შორს, ძალიან შორს არის პედაგოგიკისაგან. ამაში ცალსახად დავრწმუნდი, როცა პედაგოგიკის საფუძვლები შევისწავლე. . . ჩემი ისტორიის მასწავლებელი წიგნს დაიღებდა და კითხულობდა და რომ მორჩებოდა, იტყოდა ეს გექნებათ გაპვეთილადო. გამოკითხვის დროსაც სულ წიგნში იყურებოდა და ისე ამოწმებდა, სწორად ვყვებოდით თუ არა. კლასში საშინელი ხმაური იყო მისი ხმა თითქმის არ გვესმოდა. ის კი სულ საათზე იხედებოდა, როდის გავარდებოდა გაპვეთილიდან. მე ვფიქრობ, რომ ამ გაპვეთილზე სამი წლის განმავლობაში არც პედაგოგიური კანონები და პრინციპები იყო და არც საქმის სიყვარული და პატივისცემა, როგორც ამას მოითხოვს პედაგოგიკა” (გ.დ. II კურსი).

როგორც იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მასწავლებელი პედაგოგიკის მეცნიერების ცოდნის გარეშე პედაგოგი ვერასოდეს იქნება.

ვერავინ ნახავს პედაგოგიკის სახელმძღვანელოს, ვერც პედაგოგიკურ ლიტერატურას თუ თვით პედაგოგიკის კლასიკოსთა თხზულებებს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი არ ჰქონდეს დათმობილი პედაგოგიურ კანონებს, პრინციპებსა და მეთოდებს. პედაგოგიკურ პრინციპთა შესახებ ა. დისტერვეგმა დაწერა: „პედაგოგიური კანონებისა და პრინციპების არ ცოდნა პედაგოგიური უვიცობაა, ხოლო მისი გამოუყენებლობა კი ბარბაროსობა.” გამოკითხულ სტუდენტთა მიერ მოყვანილ მაგალითებში კარგად ჩანს მათი მასწავლებლების პრობლება—პედაგოგიკის უცოდინარობა საერთოდ და შესაბამისად ეს ეხება პედაგოგიურ პრინციპებსაც. არადა, პედაგოგიური კანონები და პრინციპები პედაგოგიური პროცესის პირველი და მთავარი საქმასო—საგაკვეთილო სისტემის ერთ-ერთ ქვესისტემაა თავისი კომპონენტებით, რომელიც წარმოად-

გენს მთავარი სისტემის საყრდენს, საფუძველს, იმ ამოსა-  
ვალ დებულებას, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მასწავ-  
ლებელმა პედაგოგიურ ურთიერთობებში.

ჩვენს წინა გამოკვლევაში, რომლის შედეგები ავსახეთ  
ზემოხსენებულ კრაბულში „მეცნიერება და სკოლა”, მა-  
შინ სკოლის მასწავლებლების მიმართ დასმული კითხვე-  
ბიდან ერთ-ერთი კითხვა უშუალოდ პედაგოგიურ კანო-  
ნებსა და პრინციპებს ეხებოდა. აღმოჩნდა, რომ გამო-  
კითხულ მასწავლებელთა (სულ 202) 80%-ზე მეტს პრობ-  
ლემა აქვს პედაგოგიურ ცნებით-ტერმინოლოგიურ სის-  
ტემასთან. ხოლო 87% მწყრალადაა პედაგოგიურ კანონებ-  
თან და პრინციპებთან. ათი თვის შემდეგ ჩატარებულმა  
პედაგოგიურმა კვლევამ სხვა წყაროებიდან, ამჯერად  
სტუდენტების გამოკითხვით, სამწუხაროდ, იგივე დაადას-  
ტურა კიდევ უფრო ფართო მასშტაბით. ამის შესახებ უპ-  
ვე ყოფილი მოსწავლეები ყვებიან. იმ მასწავლებელს, რო-  
მელსაც პედაგოგიური კანონებისა და პირნციპების უბრა-  
ლო ჩამოთვლაც კი არ შეუძლია, როგორ შეძლებს იგი  
პედაგოგიური ინფრასტრუქტურების ამ უზარმაზარი სის-  
ტემების, ქვესისტემებისა და კომპონენტების გარკვევასა  
და მით უმეტეს მის კომპლექსურ ამოქმედებას?! ცხადია,  
ვერ შეძლებს, და, მასწავლებლის არაკომპენტურობის  
გამო ასე იკარგება პედაგოგიკის მეცნიერების უსაზღვრო  
საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პოტენციალი,  
პედაგოგიური შესაძლებლობები.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით, მესამე საკითხზე  
„მასწავლებლის რომელ თვისებებს დააყენებდი პირველ  
და მეორე ადგილზე?” გამოკითხულთა 98%-მა პირველ  
ადგილზე დააყენა ქრისტიანული მორალი:

„მასწავლებლის თვისებებიდან პირველ ადგილზე  
ქრისტიანულ მორალს დავაყენებ, რადგან დმიტოს რწმე-  
ნის გარეშე არაფერია, ყველაფერი მისგან მომდინარეობს.  
მასწავლებელი უნდა იცავდეს დვოის მცნებას: „ისე მოუ-  
ქეც სხვას, როგორც შენ გინდა მოგექცნენ”. მის დახმარე-  
ბით ის ადსაზრდელის მიმართ ყოველთვის სამართლიანი  
იქნება და ამით შეინარჩუნებს ის აგტორიტეტს” (ქ. ბ.  
Iკურსი).

იგივე აზრია გატარებული სტუდენტთა უმეტესობის პასუხებში. მაგალითად:

„რაც შეეხება იმას, თუ მასწავლებლის რომელ თვისებებს დაგაყენებ პირველ ადგილზე, არის ქრისტიანული მორალი. . . ღვთის რწმენა უმძლავრესი საშუალებაა ყოველგვარი ცოდვისა და ბოროტებისაგან თავშეეავების, ღვთისმოშიშობისა და ღვთისნიერების . . . თუ მასწავლებელი არის ამ თვისებების მატარებელი, მას არ გაუჭირდება მოსწავლეებთან ურთიერთობა და ამაში უფალი აუკილებლად დაეხმარება.“ (ნ.მ. იკურსი).

„მე უპირატესობას ვანიჭებ და პირველ ადგილზე ვაყენებ ქრისტიანულ მორალს იმიტომ, რომ ეს ნიშნავს ქრისტეს მოძღვრების ცოდნას და ამ მოძღვრების თანახმად ცხოვრებას. ქრისტიანული მორალი დაგვეხმარება ვიყოთ ობიექტურები“ (მ. ტ. იკურსი).

სტუდენტი მ. ხ. ჯერ სრულად ჩამოთვლის მასწავლებლისთვის აუცილებელ და ადიარებულ თვისებებს და აქედან პირველ ადგილზე აყენებს ქრისტიანულ მორალს:

„მე ამ თვისებებიდან გამოვყოფ და პირველ ადგილზე დაგაყენებ ქრისტიანულ მორალს . . . ქრისტიანული მორალი მასწავლებელს ეხმარება, რომ იყოს სამართლიანი, მოსიცვარულე, ობიექტური და მიუკერძოებელი“ (მ. ხ. იკურსი).

„ჩემი აზრით, . . . პირველ ადგილზე ვაყენებ ქრისტიანულ მორალს, რადგან თუ ადამიანს არა აქვს სულიერობა, რომელიც ემყარება ღვთისულიერ წიგნს ბიძლიას, მაშინ იგი თავს ვერ შეიკავებს ცოდვისა და ბოროტებისაგან . . .“ (ნ. ღ. იკურსი).

გამოკითხულთა 76%-ს მიაჩნია, რომ საკმარისია მასწავლებელი ქრისტიანული მორალის მატარებელი იყოს და დანარჩენი ზნეობრივი თვისებები მისთვის უცხო ვერ იქნება:

„მასწავლებელს აუცილებლად უნდა ახასიათებდეს პირველ რიგში ქრისტიანული მორალი, ქრისტეს მოძღვრების ცოდნა და ამ მოძღვრების თანახმად ცხოვრება. ერთად-ერთი მექანიზმი, რაც ადამიანებს აკავებს ცოდვებისა და ბოროტებისაგან ეს არის ღვთის რწმენა, სულიუ-

რობა. ქისტიანული მორალი მასწავლებელს დაეხმარება იყოს ჰუმანური, მიმტევებელი, უანგარო, მიუკერძოებელი, ობიექტური, ღირსეული და მომთმენი ბავშვების მიმართ” (თ.კ.I კურსი).

მსგავსი მაგალითები იმდენია, რომ ყველა მათგანის ჩვენებას ხუთი ფორმატი არ ეყოფა. ესეც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ათეიზმისა და მცდარი შეხედულებების სიბნელეში, სტუდენტები როგორ არიან მოწყურებული ჰყებარიტებას, სიმართლესა და სამართლიანობას, სულიერობას და წუხან იმ მასწავლებელთა გამო, რომლებიც მოკლებული არიან ამ თვისებებს.

არიან ისეთი სტუდენტებიც, რომელნიც მასწავლებლის გერც ერთ დადგენილ პროფესიულ თვისებას გერელევიან და მათ ქრისტიანულ მორალთან ერთიანობაში მოიხსენიებენ.

თ. ა. წერს: „ძნელია გამოვყო ის თვისებები, რომელიც მასწავლებლისთვის პირველ ან მეორე ადგილზე განთავსდეს, რადგან მიმაჩნია, რომ ქრისტიანული მორალი, პროფესიული გატაცება, განსწავლულობა და ერუდიცია, კომუნიკაციების გადაცემის უნარი, პედაგოგიური ოპტიმიზმი, სიახლის შეგრძნების უნარი, საქმისაღმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი და ასე შემდეგ, არის ყველა ის აუცილებელი და პირველხარისხოვანი თვისება, რომლის გარეშეც მასწავლებელი ვერ იქნება ამ ტიტულის სრულყოფილად და ღირსეულად მატარებელი” (თ.ა. Iკურსი).

როგორც ვხედავთ, სტუდენტი ვერ შეელია მასწავლებლის პროფესიულ-პირველულ თვისებათა მეორე, მესამე და ა.შ. ადგილებზე გადანაწილებას. მისთვის უკვე ყველა თვისება პირველხარისხოვნია და ერთმოლიანობაში აქვს მოაზრებული.

აქ მოტანილი ციტატებიდან ნათლად ჩანს სტუდენტთა ფაქტი და სერიოზული დამოკიდებულება ქრისტიანულ მორალსა და მასწავლებლისათვის მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მათ სწამთ ქრისტიანული მორალის მატარებელ მასწავლებელთა კეთილსინდისიერება და სულიუ-

რობა. მათ უკვე იციან, რომ დგთის რწმენა უმძლავრესი საშუალებაა ყოველგვარი ცოდვისა და ბოროტებისაგან თავშეკავებისა, დგთისმოსაობისა და დგთისნიერებისა, რასაც საფუძვლად უდევს ყოვლისშემოქმედი ღმერთის, მის მხოლოდშობილი ძის იქსო ქრისტეს და მოყვასის სიყვარული. ქრისტიანული რწმენა რომ ეგოცენტრიზმზე, მატერიალიზმსა და ყოველგვარ გულისთვებზე, თვალთათქმებზე, ხორციელ სურვილებზე მაღლა აყენებს ადამიანს, ამდიდრებს სულიერობას და იცავს სატანა-ეშმაკის მახეებისაგან, რომ რწმენას საფუძვლად უდევს ჭეშმარიტების ცოდნა უზენაესი ღმერთის, იქსო ქრისტესა და მათი ქმნილებების, ასევე სატანა-ეშმაკის შესახებ, რომ უხილავი შეიცნობა ხილულის: ბიბლიისა და ხელთუქმნელი სამყაროს მეშვეობით. რომლის შესახებ ბიბლიაში ვკითხულობთ: „მისი (დგთის-გ.ხ.) უხილავი თვისებები-მარადიუელი ძლიერება და ღვთაებრიობა-ნათლად ჩანს ქვეყნიერების შექმნიდან, რაღან ყოველივე ეს შექმნილის მეშვეობით შეიცნობა” (რომაელების მიმართ 1:20).

მასწავლებლის პროფესიულ თვისებათა შორის რესპონდენტთა 8%-ი მეორე ადგილზე მასწავლებლის პროფესიულ გატაცებას ანუ პროფესიულ სიამაყეს ასახელებს:

„მას (მასწავლებელს- გ. ხ.) უნდა ჰქონდეს პროფესიული გატაცება, რომ სიამოგნებას იღებდეს მუშაობის დროს” და იქვე დასძენს: „თავისი საგანი ღრმად უნდა იცოდეს, სიახლეების შემოტანა უნდა უყვარდეს, ასევე უნდა იცოდეს თავისი პროფესიის ღირსება, საზოგადოებისათვის მისი მნიშვნელობა და დარწმუნებული ვარ, რომ იგი თავის პროფესიას არასდროს არ უდალატებს” (თ. გ. I კურსი).

მსგავსადვე ფიქრობს მ. ტ. „მეორე ადგილას ვაყენებ პროფესიულ გატაცებას, რაგან თუ ადამიანს თავისი პროფესია არ უყვარს . . . ვერ იქნება კარგი მასწავლებელი.”

ცდისპირთა 42% მასწავლებლის თვისებათა შორის მეორე ადგილს უთმობს ცოდნას, განსწავლულობას, ერუდიციას:

„არანაკლებ მნიშვნელოვანია მასწავლებელს ახასიათებდეს თავისი საგნის ღრმად და ყოველმხრივ ცოდნა, იცნობდეს მის უკანასკნელ მიღწევებს” (თ. პ. ქ. ქურსი).

„ქრისტიანული მორალის შემდეგ მეორე ადგილზე ვაყენებ თავისი საგნის ღრმად და ყოველმხრივ და მოსაზღვრე მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლების ცოდნას, რადგან ცოდნა არის მასწავლებლის მთავარი იარაღი.”

ცოდნაზე უფრო ძვირფასი საგანძური რომ არ არსებობს, ამაზე ერთხმად თანხმდებიან მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები, მაგრამ ეს, რომ განსაკუთრებით მასწავლებლის პრეორგატივაა, არც ამაზე კამათობს ვინმე. მან ცოდნა-გამოცდილებითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით უნდა აღჭურვოს აღსაზრდელი. უზრუნველყოს ყოველმხრივ პარმონიულად განვითარებული, გონიერივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად, ფიზიკურად ჩამოყალიბებული სრულფასოვანი პირვენების ფორმირება და არა კონკურენტუნარიანი, რომელსაც სურს მუდამ თვითონ იყოს გამარჯვებული სხვათა დამარცხების ხარჯზე. ეს არაქრისტიანულია და ეწინააღმდეგება ბიბლიურ მცნებას: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.” ცოდნასთან დაკავშირებით დისტერვეგი მართალი იყო, როცა თქვა: „შეუძლებელია მისცე სხვას ის, რაც თავად არა გაქვს”—ო. ამიტომ ამბობენ მოსწავლე მასწავლებლის სარკეაო. ასევე ძალიან საგულისხმოა დისტერვეგის შემდგარი სიტყვები: „განათლება გონიერისთვის იგივეა, რაც სისხლი სხეულისთვის”—ო. განათლებული მასწავლებელი საზოგადოების ბედნიერებაა. ქვეყნის საგალალო მდგომარეობით შეწუხებულმა მამულიშვილმა, აკაკი წერეთელმა მოვლენების ობიექტურად შეფასების საფუძველზე გააკმთა ის დასკვნა, რმელზედაც ზემოთ ვთქვით, რომ ყველა უბედურებების მიზეზი ცუდი აღზრდის ბრალიაო. ამის მიზეზად პოეტს მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია მიაჩნდა. ეს კაგად ჩანს მის ავტობიოგრაფიულ მოთხოვაში „ჩემი თავგადასაგალი.”

არცერთი პროფესიის ადმიანის (ექიმის შემდეგ) უცოდინარობა არ ხდება ისე უმაღვე ცხადი და საზიანო, როგორც ეს ხდება მასწავლებლის შემთხვევაში. არც ერ-

თი დონის აუდიტორიას არ გამოეპარება მის წინაშე მდგომი მასწავლებლის უცოდინარობა. ორგორც კი გამჟღავნდება მისი სისუსტე თუ მოუმზადებლობა, იქვე კარგს პედაგოგიურ აგტორიტეტს. ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა პედაგიურმა გამოევლევებმა.

გამოკითხულთა 18 % მასწავლებლის მეორე მნიშვნელოვან თვისებად გადაცემის უნარს ასახელებს და მას მისაწვდომობის პედაგოგიურ პრინციპს, ხოლო ორივეს ერთად მეტყველების კულტურას უპავშირებს. ისინი თვლიან, რომ სასწავლო მასალის კარგად ცოდნა, ლოგოკური კავშირების დანახვება, გამართული მეცნიერული ენით ახსნა სათანადო ინგონაციებითა და უესტიკულაციებით, უნებურად იტაცებს სმენადქცეულ მოსწავლეებს. ეს კი, ცხადია, ქმნის საგაკვეთილო ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ ატმოსფეროს. ახლა კი მოვუსმინო თავად მათ. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

„მეორე თვისება, ჩემი აზრით, რაც მასწავლებელს უნდა პქონდეს, ეს არის გადაცემის უნარი. რადგან თუ მასწავლებელს არა აქვს გადაცემის უნარი, ის ვერ შეძლებს მოსწავლე დააინტერესოს თავისი გაკვეთილით“ (თ.ჭ. ქ. ქურსი).

„მასწავლებლის თვისებებიდან არ შეიძლება, არ გამოვყო გადაცემის უნარი, ჩემი აზრით, ეს თვისება ყველა მასწავლებელს უნდა გააჩნდეს, რადგან რაც არ უნდა კვალიფიციური და მაღალი დონის მასწავლებელი იყოს და არ პქონდეს გადმოცემის უნარი, ეს დიდი დანაკლისი იქნება. ამაში ეხმარება მეტყველების კულტურა“ (ს.ჭ. ქ. ქურსი).

„ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე გადაცემის უნარი. შეიძლება მასწავლებელს კარგი განათლება პქონდეს, მაგრამ ბავშვისთვის მისი გადაცემა ვერ შეძლოს. ეს კი დაკავშირებულია მისაწვდომობის პრინციპთან და კიდევ მეტყველების კულტურასთან“ (მ. ხ. ქ. ქურსი).

„მასწავლებლის შრომა უშედეგო იქნება, თუ კი მას გადაცემის უნარი არ გააჩნია, ეს გულისხმობს მეტყველების კულტურის ქონას, რათა ახსნილი მასალა მოსწავლეთათვის მისაწვდომი და აღვილად გასაგები გახადოს.

... თეორიებით თუ ვიმსჯელებთ, მასწავლებელი ყოვლად პუმანური და ძალზედ ობიექტური უნდა იყოს, რეალურ ცხოვრებაში კი ყოველივე პირიქითაა” (თ.თ. I ქურსი)

რესპონდენტი დიდი სიამოვნებით იგონებს ქართულის მასწავლებელს, რომელსაც ყველა ის თვისებები პქონდა, რასაც მოითხოვს პედაგოგიკა, მაგრამ ის განსაკუთრებით გადაცემის უნარით დაამასოვრდა:

„მას პქონდა ისეთი გადაცემის უნარი, რასაც გადმოგვცემდა მარტივად და გასაგებად იქვე გაკვეთილის პერიოდში გსწავლობდი” (ს. ჯ. II ქურსი).

ასევე რესპონდენტები თ. კ. და მ. ბ. წინა პლანზე აყენებენ გადაცემის უნარს, რადგან მიაჩნიათ, რომ: „მასწავლებელი რა ცოდნა-გამოცდილების მარაგს არ უნდა ფლობდეს, თუ მას აკლია გადაცემის უნარი და მეტყველების კულტურა, ის გერასოდეს გახდება სრულფასოვანი მასწავლებელი” (მ. ბ. II ქურსი).

გამოკითხულთა 8% გადაცემის უნართან აკავშირებს ჟევრმეტყვლების კულტურას. ხოლო 47% მეორე ადგილს პირდაპირ მეტყველების კულტურას უთმობს. შეგვიძლია რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ:

„მე მეორე ადგილს დავუთმობდი მეტყველების კულტურას. მიჰირს იმათი მოსმენა, რომლებიც ძლივს ლაპარაკობენ. მათი მონაყოლიდან ერთ ახალ სიტყვას ვერ შეიძენ, თანაც მოსმენის ინტერესი გეპარგება და ვერაფერს იგებ” (თ. ბ. II ქურსი).

ანალოგიური აზრია გატარებული გ.დ. პასუხშიც:

„ძალიან მიზიდავს კარგი მეტყველება. ამაზე მაშინ გავამახვილე ყურადღება, როცა ლექტორმა ეს თემა აგვისენა და ორატორთა მაგალითი მოიყვანა. ახლა მივხვდი რატომ მიყვარდა ჩემი ქართულის მასწავლებელი. ის ბავშვებსაც დიდებივით გველაპარაკებოდა, რაღაც უბრალო, აგდებული ტონით არასდროს ლაპარაკობდა ხოლმე, როცა გაკვეთილს გვიხსნიდა ყველანი გასუსული გუსმენდით, ისე ლამაზად და გასაგებად გვიხსნიდა” (ნ.ჯ. II ქურსი).

მსგავსი აზრია გატარებული ნ. კ. ნაწერში:

„მასწავლებლის თვისებათა შორის მეორე ადგილზე დაგაყენებდი მეტყველების კულტურას. ორცა გავიგე მეტყველების უნარსა და მეტყველების კულტურას შორის სხვაობა, მაშინ მივხვდი მასწავლებელთა დიდი ნაწილი რამდენად შორს ყოფილა მეტყველების კულტურისგან. ერთი მასწავლებელი, არ მინდა დავასახელო, ისეთი სიტყვებით გვლანძღვდა, რაც ენაზე მოაღვებოდა. შე ტუტუცო, ლაწირაკო, უპატრონო, ყველაზე „კარგი“ სიტყვა იყო „დებილო“. ვინჯრობ, ასეთი მასწავლებლის ადგილი სკოლაში არ არის!“

პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებელი, მეცნიერ-პედაგოგი და ორატორი მ.ფ. კვინტილიანე თავის „ორატორის დარიგებანის“ პირველი წიგნის I თავის II აბზაცში წერს: „უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ ისეთი ძიძები შეგარჩიოთ, რომელთაც კარგი გამოთქმა და კილო აქვთ. ქრისიპე გვირჩევს ძიძებად ჭკვიანი და სათნო ადამიანები ავირჩიოთ. ამავე დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მათ ზნეობასა და მეტყველებას, რადგან ბავშვი, თავდაპირველად ძიძისაგან ისმენს ლაპარაკს და ცდილობს მასვე მიბაძოს სიტყვების წარმოთქმაში.“

კვინტილიანეს ეს დარიგება დღემდე არ კარგავს თავის აქტუალობას. იგი ეხმიანება სენტუალიზმის თეორიას, რომ შემეცნება შეგრძნებებით იწყება, და, რომ არაფერია ცნობიერებაში, რაც შეგრძნებაში არ გვქონია. ბავშვი თავის მეტყველებას აგებს მოსმენილის საფუძველზე. ენის შესწავლის ყველაზე სენზიტიურ პერიოდად ითვლება 3-დან 5 წლამდე ასაკი. მაგრამ მეტყველების თანდაყოლილი დათითბოძებული უნარი მეტყველების კულტურაში გადადის თანდათანობით სკოლის, სწავლისა და სწავლუბის პერიოდში, სადაც გადამწყვეტ გავლენას ახდენს მასწავლებლის მეტყველების კულტურა.

მასწავლებლის მთავარ იარაღს მოხდენილი სიტყვა წარმოადგენს. სიტყვის საშუალებით იწყება პედაგოგიკური ურთიერთობა, მასწავლებებებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობა. ამიტომ, ცხადია, ის ზედმიწევნით უნდა ფლობდეს მეტყველების კულტურას. სიტყვასთან დაკავშირებით ბიბლიაში გვითხულობთ: „დასაწყისში იყო სიტ-

ყვა, სიტყვა იყო დმერთან და სიტყვა იყო დმერთი” ყველაფერი მისი მონაწილეობით გაჩნდა, მის გარეშე არაფერი გაჩენილა (იოანე 1:1). ბიბლიის პირველ წიგნში „დაბადება”, რომელიც დვთის შემოქმედებაზე მოგვითხობს, ნათლად ჩანს, რომ დმერთმა ჩანაფიქრი სიტყვის საშუალებით, მის მხოლოდ შობილი ძის, თანაშემწისა და ოსტატის იესო ქრისტეს მეშვეობით განახორციელა. მან ჯერ ისურვა, თქვა სიტყვა, შემდეგ სიტყვა სათანადო ძალის-ხმევით რეალობად აქცია. დვთის საქმეებს ყოველთვის წინ სიტყვა უძღვდა:

„და თქვა დმერთმა: “გამოჩნდეს სინათლე” და “გამოჩნდა სინათლე” (დაბ. 1.1).

„შემდეგ თქვა დმერთმა: „გაჩნდეს სივრცე წყლებს შორის და გაიყოს წყლები.” დაიწყო დმერთმა სივრცის წარმოქმნა და წყლების გაყოფა . . . და ასე მოხდა” (დაბ. 1,1).

„შემდეგ თქვა დმერთმა: „გამოჩნდეს მნათობები ცის სივრცეში . . . დაიწყო დმერთმა ორი დიდი მნათობის შექმნა . . . და დაიწყო ვარსკვლავების შექმნა. განალაგა დმერთმა ისინი ცის სივრცეში, რომ გაენათებინა დედამიწა” (დაბ. 1.16,17).

„შემდეგ დმერთმა თქვა: აფუთფუთდნენ წყალში ცოცხალი სულები და მიწის ზევით, ცის სივრცეში იფრინონ ფრინველებმა . . . და დაიწყო დმერთმა ზღვის დიდი ცხოველებისა და ყველა ცოცხალი სულის შექმნა . . მათი გვარისძა მიხედვით და ყველა ფრინველისა მათი გვარისძამიხედვით” (დაბ. 1. 20,21).

და, ასე აქცია დმერთმა სიბრძნე და სიტყვა საქმედ. და ბოლოს დააგვირგინა თავისი შემოქმედება, ყველაზე უნიკალური ქმნილებების — მამაკაცისა და დედაკაცის შექმნით. მათ დაარქვა ადამი და ევა.

„შემდეგ თქვა დმერთმა: „შევქმნათ ადამიანი ჩვენს ანარეკლად, ჩვენს მსგავსებად. . . დაიწყო დმერთმა ადამიანის შექმნა თავის ანარეკლად, დვთის ანარეკლად შექმნა იგი, კაცად და ქალად შექმნა ისინი” (დაბადება I. 26,27). და ა. შ.

პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელმა, I საუკუნის მეცნიერ-პედაგოგმა და ორატორმა მარკუს ფაბიუს კვინ-ტილიანემ სიტყვასთან დაკავშირებით თქვა: „მჭევრმეტყველებაში მთავარია სიტყვა. სიტყვა კი მოითხოვს მრავალ მეცნიერებას, თუმცა ეს მეცნიერებანი მეტყველებაში აშ-კარად არ გამოჩნდებიან, მაგრამ მას მატებს იდუმალ ძალას; ორატორისთვის აუცილებელი ეს მრავალი მეცნიერება თავისებურ ერთიანობაში ემსგავსება თაფლს, ომელიც სრულიად სხვა შენაერთია იმ უამრავი წევნისა, რომელსაც ფუტკარი კრებს ათასობით სხვადასხვა ყვავილი-საგან“ (მ. ფ. კვინტილიანე, „ორატორის დარიგებანი“. ა. ნიკოლსკის თარგმანი, სანტ-პეტერბურგი, 1834, გვ.15).

მეტყველების კულტურა დიდ განსწალულობასთან რომ არის დაკავშირებული, ამაზე მიუთითებს კვინტილიანეს სიტყვები. სიტყვას რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებ-დნენ ანტიკური ხანიდან დაწყებული ყველა დროის კულ-ტურული ადამიანები, განა ამას არ ადასტურებს ცნობი-ლი რიტორიკული უმაღლეს სასწავლებლები საბერძნეთ-ში, ძეელ რომში, ფაზისში და ა. შ. განა სიტყვით არ ქუხდნენ ცნობილი ორატორები. ზეპირი და წერილობითი მეტყველების კულტურაზე ძვირფასი საგანძური რა გააჩ-ნია კაცთამოდგმას. ჩვენს ბავშვებს თვალის გახელისთა-ნავე კომპიუტერები რომ ჩავჩარით პირში, როდის ისწავ-ლიან, ნეტავ, წერას და მეტყველებას, ჯანმრთელობის საფრთხეზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს იგივეა, რომ ბავშვს ჯერ სიარული არ უსწავლია და მანქანის ტარება დაავალო. მეტყველების კულტურის განვითარებაზე მეტი ზრუნვა გვმართებს, ბატონებო!

სტუდენტთა 12%-ი მასწავლებლის მრავალ პროფესი-ულ თვისებათა შორის მეორე ადგილზე აყენებს სამარ-თლიანობასა და ობიექტურობას. პირადი გამოცდილები-დან მოჰყავთ მწარე მაგალითები უსამართლო და არაობი-ექტურმა მასწავლებლებმა როგორ ატკინეს გული თითო-ეულ მათგანს როგორც ცოდნის შეფასებაში, ისევე ურ-თიერთობაში. მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს მასწავლებლის როლი აღზრდაში, სრულფასოვანი პიროვ-ნების ფორმირებაში.

პედაგოგიური პროცესის საკლასო—საგადვეთილო სიტყმების მეცნიერულ საფუძველზე გამართულ მუშაობას პედაგოგიურ კანონებთან, პრინციპებთან და განათლების შინაარსთან ერთად მოწესრიგებულს და ნაყოფიერს, რესპექტაბელურს ხდის პედაგოგიური მეთოდები. სტუდენტებთან ამ კითხვაზე მათი ჩამოთვლითა და განსაზღვრებებით დავკმაყოფილდით.. პირველ კურსელებს მეტს ვერ მოვთხოვდით.

ჩვენ შეძლებისდაგარად ვისაუბრეთ წინა გამოცემაში „მეცნიერება და სკოლა“ პედაგოგიკურ ცნებით—ტერმინოლოგიური სისტემისა და ტექნოლოგიების შემცნებით მნიშვნელობაზე მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობაში და იმ თეორიულ და პრაქტიკულ ზიანზე, რაც მათ დეფიციტს მოაქვს სკოლისათვის. იქვე დაურთეთ დასმული პრობლემის გადასაჭრელი პედაგოგიური დასკვნები და რეკომენდაციები. (იხ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო პედაგოგიური შრომების კრებული „მეცნიერება და სკოლა“. თბ. 2010, გვ. 7–15). ამიტომ მას აქ დეტალებში არ ვეხებით. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა და სტუდენტთა ნაწერებში, სამწუხაროდ, ნებისმიერი მკითხველი შენიშნავს მკვეთრ სხვაობას წერითი მეტყველების კულტურაში, ცნებით—ტერმინოლოგიურ ცოდნასა და აზროვნებაში, უბრალოდ, კალიგრაფიაშიც კი.

მართალია, მაშინ რეკომენდაციებით შემოვიფარგლეთ სკოლის მასწავლებელთათვის სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო, მაგრამ უნივერსიტეტებში, განათლების ფაკულტეტებზე, სადაც პედაგოგიკის სასწავლო კურსეს გეითხულობთ, ვისარგებლეთ შემთხვევით და მინი ექსპერიმენტი ჩავატარეთ. გავაძლიერეთ მუშაობა გამოკითხულ მასწავლებელთათვის დამახასიათებელ ტიპიური პრობლემებზე პედაგოგიკურ ცნებით—ტერმინოლოგებზე, სწავლების ყელა ფორმატში. პირველ რიგში სტუდენტებს (მომავალ მასწავლებლებს) მიზნად დაგუსახვთ პედაგოგიკის ენის სრულყოფილად ათვისება, პედაგოგიკური ცნებებით აზროვნება და მეტყველების კულტურის ამაღლება. სას-

წავლო პროცესს მივეცით თამაშის ელფერი, რომ პროცესი სახალისო და დასამახსოვრებელი ყოფილიყო. საწყის ეტაპზე წაიკითხეს სხვადასხვა ავტორთა პედაგოგიკის სახელმძღვანელოებსა და პედაგოგიკის საცნობარო ლიტერატურაში მოცემული პედაგოგიკურ ცნებათა დეფინიციები და საკმაო მსჯელობის საფუძველზე შევჩერდით ტერმინთა იმ განსაზღვრებებზე, რომელიც საგნის არსეს სრულად მოიცავდა. შემდეგ ეტაპზე სტუდენტებს სისტემატიურად უნდა მოეხდინათ ლექციების, სემინარების, ცოდნის შემოწმებების, შეფასებების პროცესში, თუ საკონფერენციო მასალების მომზადებისას, გამოსვლისას და სხვა პედაგოგიური პროცესების პედაგოგიური სიტუაციების, მოვლენების, ფაქტების ანუ რეალური სინამდვილის ტიპოლოგიზაცია და სათანადო ცნებებში გადატანა გარემოებების (დროის, ადგილის, ვითარების, პირობების, მხარეების), შინაარსის (სასწავლო-ადმინისტრაციული, ურთიერთობითი, კომუნიკაციური, ინფორმაციული), პრობლემატიურობის დონის (სტანდარტული, პრობლემური, ექსტრემალური, კონფლიქტური) და ა. შ. მიხედვით.

აღნიშნული მინი პედაგოგიური ექსპერიმენტის წარმატებაში გარევეულწილად ხელი შეგვიწყო წიგნმა “მასწავლებლის ეთიკა”, რომელშიც სასქოლო სიტუაციებია განხილული. პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში სხვადასხვა სტუდენტის მიერ ორჯერ უნდა წაკითხულიყო მოცემული სიტუაცია. შემდეგ ინდივიდუალურად უნდა გაერჩიათ იგი 10 წუთის განმავლობაში პედაგოგიური თეორიის მიხედვით. სანამ მათ პასუხებს შევამოწმებდით, ჯერ უნდა წაეკითხათ წიგნში მასწავლებლის მიერ განხილული, შემდეგ კი უნდა წარედგინათ თავიანთი განხილვა. მათ მიერ შერჩეული ძლიერი სტუდენტი კითხულობდა, დანარჩენები უსმენდნენ მას და გზადაგზა ერთვებოდნენ აღნიშნულ წიგნში მოცემული სკოლის სიტუაციის პრაქტიკოს მასწავლებლის მიერ განხილულის პედაგოგიკურ თეორიასთან აღემვატურობის შედარებითი მეთოდის გზით დადგენაში. გამაოგნებელმა სხვაობამ შეძრა სტუდენტები. მათ ანალიზის შედეგად დაადგინეს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობის პრობლემა პედაგო-

გიგის ცნებითი—ტერმინოლოგიური სისტემის დეფიციტშია, რაც გამოწვეულია პედაგოგიკის მეცნიერების, აღზრდის თეორიის არასაქმარისი ცოდნით.

პარალელურად, დარწმუნებისა და ინსტრუქტაჟის მეთოდებით, სტუდენტებთან ვიმუშავეთ იმაზე, რომ მათი სასწავლო აქტივობა ქულების მოპოვებით არ ყოფილიყო მოტივირებული. და, მესამე, კათედრასთან გამოსვლასა და თავიანთი აზრების დამოუკიდებლად, “შპარგალკის” გარეშე წარმოთქმისა და გამოთქმის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ამაში ძალიან დაგვეხმარა 2000 წლის წინათ მ.ფ. კვინტილიანეს მიერ ნათქვამი სიტყვა: „ . . . “შპარგალკა” ტვინის ყავარჯვენია”—ო, რაც პიტად იქცა სტუდენტებში. სამი თვის განმავლობაში მიზანმიმართულ და ინტენსიური მუშაობის შედეგად 64 სტუდენტიდან 72%-მა მიზანს მიაღწია. ცდისპირობა 28% კურსელებს ჩამორჩა ლექციებზე დაგვიანება—გაცდენისა და ინტერნეტის არაგრონივრული გამოყენების გამო.

დაწინაურებული სტუდენტები ხალისით ყვებიან შემეცნებით პროცესში მიღებულ მორალურ კმაყოფილებასა და ესთეტიკურ სიამოვნებაზე. „როგორ მიხარია ოთხშაბათი დღე, ძალიან მომწონს კათედრასთან დგომა.” „აუდიტორიის წინაშე კათედრასთან დგომაზ პასუხისმგებლობის გრძნობა ამიმაღლდა,” როგორ მეშინოდა თავიდან აქ (კათედრასთან-გ.ხ.), დგომა, ახლა მიხარია კიდეც” და ა.შ. ბევრი მსგავსი სიტყვები მოუსმენია სტუდენტთა აუდიტორიას.

შეიძლება ვთქვათ, რომ ცდისპირ სტუდენტებს სასწავლო გარემომ აპოვნინა საკუთარ თავში პიროვნება, აუმაღლა დირსების გრძნობა და თავად იქცნენ პიროვნული დირსების დამცველად. ხომ ცნობილია, რომ შემეცნებითი კმაყოფილება, სიხარული და სიამოვნება აღძრავს სუბიექტში ინტელექტუალურ მოტივებს, ინტერესსა და უბიძგებს მას შემეცნებითი აქტივობისაკენ. დადებითი ემოციების პედაგოგიურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით გავიხსენოთ საყოველთაოდ ცნობილი ვიტორინო დე ფელტრეს „სიხარულის სკოლა”, სადაც ყველა ბავშვის სწავლებისა და აღზრდის ერთნაირი სასიამოვნო გარემო იყო შექმნი-

ლი. ამ სკოლამ უდიდესი კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა იტალიისა და არა მარტო იტალიის, მის ფარგლებს გარეთაც განათლების სისტემაში.

სწორად აღნიშნავენ წიგნის „სასწავლო და პროფსიული გარემოს“ ავტორები გარემოს ფაქტორის სასარგებლო გავლენასთან დაკავშირებით. ისინი ფიზიკურ გარემოსთან ერთად განიხილავენ მასწავლებლის მიერ ფსიქოლოგიურად და პედაგოგიურად სასურველ ატმოსფეროს შექმნის მნიშვნელობას: „კეთილმოწყობილი და მხარდაჭერი გარემო აუცილებელი პირობაა ბავშვის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის და შემოქმედებითი, აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის“ (ნ.ნიუარაძე, ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი, ნ. გოგიაძე, თ. ლოდია, სასწავლო და პროფესიული გარემო. თბ., 2008, გვ. 18).

სკოლაში მთელი პედაგოგიური პროცესის პროდუქტიულობას სასკოლო და პედაგოგიური ინფრასტრუქტურების გამართული მუშაობა განაპირობებს, რომელთა შორის პირველი და უმთავრესია საკლასო –საგაკვეთილო სისტემა თავისი ქვესისტემებითა და კომპონენტებით. ამ დიდი „ხომალდის მესაჭვა“ მასწავლებელი, რომელმაც უნდა მართოს ის სწორედ, მისივე ქვესისტემებისა და კომპონენტების მეშვეობით. საკლასო–საგაკვეთილო სისტემა, სხვა პედაგოგიური სისტემებისაგან განსხვავებით, დაქვემდებარებულია მკაცრ, სტაბილურ და უცვლელ რეჟიმს, მისი შინაარსი და ფორმა წინასწარ განსაზღვრულია სახელმწიფო სასწავლო გეგმებით, საგნობრივი პროგრამებით, სპეციალური სახელმძღვანელოებით, ფორმატითა და რეგლარენტით. აქ პროცესის მთავარი წარმართველი, ორგანიზაციონი, ინფორმატორი თუ ინსტრუქტორი არის მასწავლებელი, რომლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს აკადემიური ცოდნა–გამოცდოლებისა და პრაქტიკული მოქმედების უნარ–ჩვევების გადაცემა, სწავლების საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი ფუნქციების რეალიზება, ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვებისა და კვლევა–ძიებითი საქმიანობისათვის მომზადება, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება–შეფასება და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება.

პედაგოგიური ინფრასტრუქტურების მეორე უზარმაზარ სისტემას წარმოადგენს კლასგარეშე პედაგოგიური მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს პედაგოგიური პროცესის უწყვეტობას. იგი ემსახურება საკლასო—საგაკვეთოლო პროცესში მიღებული ცოდნა— გამოცდილებისა და პრაქტიკული მოქმედების უნარ-ჩვევების გაღრმავება—განმტკიცებას, მოსწავლეთა მიღრეკილებების, ინტერესების, ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლინებასა და განვითარებას, მათი სოციოგენური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პირველი სისტემისგან განსხვავებით, კლასგარეშე სასწავლო—აღმზრდელობითი პროცესი ემყარება ნებაყოფლობითობისა და არჩევანის თავისუფლებას. ამის საშუალებას იძლევა მისი მრავალფეროვანი ფორმები და კომპონენტები. აღზრდის მიზნიდან გამომდინარე, აქ პედაგოგიურ ჩარჩოში წინასწარ განსჭვრეტილია პედაგოგიურ ღონისძიებათა ვარიანტები, მათი პედაგოგიურ-მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება და რომელიც არ უნდა აირჩიოს მოსწავლემ, მისი ნებისმიერი არჩევანი ღირებულია, სასურველი და მისაღები. არჩევანის უფლება მოსწავლეს უქმნის თავისუფლების, სრულფასოვნების შეგრძნებას, უმაღლებს პასუხისმგებლობას და განაწყობს მოქმედებისათვის აღებული მოვალეობის შესასრულებლად.

პედაგოგიური მიზნის, ამოცანების, კანონზომიერების, პრინციპების, შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების სასკოლო სიტუაციებთან ურთიერთაღეკვატურობა, დახვეწილი მიმართება და განპირებულობა არის ის ოაზისი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის სოციალზაკიას, მის სრულფასოვან პიროვნებად ფორმირებას. სწორედ აქ არის პედაგოგიკის მეცნიერებისა და პედაგოგიური ხელოვნების გადაკვეთის წერტილი. ამ ოაზისის შემოქმედი კი — თავისი საქმის დიდოსტატი, პრაქტიკოსი მასწავლებელი.

გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები, პოეზიის დილა—საღამოები, იმიტაციური თამაშები, საექტაკლების დადგმა, მხატვრული პერსონაჟების განსახიერება, მუსიკალური და სპოტული ღონისძიებები, ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობების მოწყობა, ბუნების უშუალო გაცნო-

ბა, საგაზაფხულო და საშემოდგომო სოფლის სამუშაოებში მონაწილეობის მიღება ანაზღაურებით, სამყაროს შემოქმედ დმერთზე საუბარი, ხელთუქმნელ სამყაროზე უშუალო დაკვირვებით, ორგორც ამას ფრანსუა რაბლეს “გარგანტუა და პანტაგრუელში” ონოფრე მასწავლებელი აკეთებდა, დისპუტები ზენობისა და სულიერობის, სიკეთის, სილამაზის, მშენიერებისა და სიყვარულის თემაზე, ხელოვნებაზე, იმ საგანმანათლებლო და კულტურულ დონის სტანდარტებზე, იმ ამოუწურავ შესაძლებლობებზე, რომლის საშუალებას იძლევა კლასგარეშე სასწავლო-აღმზრდელობით დონისძიებათა სისტემა – არის აღზრდის უნიკალური მექანიზმი დიდოსტატი მასწავლებლის ხელში.

თუ ეს სისტემა გამართულად იმუშავებს, მოსწავლეს არც დრო და არც სურვილი დარჩება დამეები უთიოს პორნოგრაფიულ და ძალადობის ამსახველ სურათებს და არაქათგამოცლილმა დღეები უქმად კარგოს. ბოლოს კი, ცხოვრებაში ხელმოცარული ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ან კიდევ ათასი სხვა უბედურების მსხვერპლი აღმოჩნდეს.

დღეს მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მოიცეა მთელი მსოფლიო. განსაკუთრებით მომრავლდა თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო საშუალებები: ტელევიზია, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი თავისი ინტერნეტით, რაც იქცა ადამიანთა უმეტესობის ცხოვრების აზრად. გაჩნდა კითხვა: “ტექნიკა კურთხევაა თუ წევ-ლა?” მსგავსი კითხვა დაისვა XVII საუკუნის საფრანგეთში: “განაპირობა თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების აღრიცხვის ზენობის გაუმჯობესება ან გაუარესება?” რომელსაც პედაგოგიკის კლასიკოსმა ჟან-ჟაკ რუსომ გაბედული პასუხი გასცა თავის ამავე სახელწოდების ნაშრომში, რომ ცივილიზაციის განვითარების შედეგად აღმიანი თანდათანობით მოწყდა ბუნებას, დაკარგა ბევრი ადამიანური თვისება სიკეთე, უბრალოება, უშუალობა და გაიძვერად და მონად იქცა. ამავდროულად კლასიკოსი იქვე მიუთითებს ჭეშმარიტი მეცნიერებისა და ხელოვნების დადებით მხარეებზე, მის პროგრესულ გარდამქნელ

ძალაზეც, სადაც მისი გამოყენების კულტურასა და მიღ-  
გომის ოპტიმალურობაზეა ყურადღება გამახვილებული.

ცხადია, თანამედროვე მეცნიერულმა მიღწევებმა განა-  
პირობა ტექნიკური პროგრესი, რასაც ვერ ვიტყვით ჯან-  
მრთელობასა და მორალზე. მორალის გარეშე კი, რო-  
გორც მოგეხსენებათ, სამართლიანობაზე, ბედნიერ და  
მშვიდობიან ცხოვრებაზე, დემოკრატიაზე, პუმანიზმზე  
ოცნებაც კი წარმოუდგენელია.

ტელევიზიას გარევეული მოსაზრებით “მასწავლებელ-  
საც” უწოდებენ. ეს მართალიცაა. იგი ასრულებს შემც-  
ნებით, ეთიკურ და ესთეტიკურ ფუნქციებს. იგივე ითქმის  
დროისა და სივრცის დიმენსიონებში შეუზღუდავ საკომუ-  
ნიკაციო (და არა მარტო საკომუნიკაციო) საშუალებებზე  
– ინტერნეტზე, მობილურ ტელეფონებზე, მათ უნიკალურ  
დადებით შესაძლებლობებზე. ლილაკის ან მაუსის ერთი  
დაწკაპუნებით რომ შენს თვალწინ გადაიშლება მთელი  
სამყარო თავისი ხელთუქმნელ და ხელთქმნილი საოცა-  
რებებით.

ნამდვილად კურთხევაა კეთილად და გონივრულად გა-  
მოყენებული ტექნიკა. მაგრამ, სწორედ, მის გამოყენების  
კულტურაშია პრობლემა. თუ არ გავითვალისწინებთ მის  
უარყოფით მხარეებს და არ გავფრთხილდებით, შეიძლება  
დამანგრეველი, ფსიქიკურად და ზნეობრივად გამანადგუ-  
რებელი გავლენა მოახდინოს ადამიანზე, განსაკუთრებით  
კი მოზარდებზე. საქმე იმაშია, რომ ტელევიზიისა და ინ-  
ტერნეტის ინფორმაციათა დიდი ნაწილი ძალადობასა და  
პორნოგრაფიას ეხება, რომელთა 70% ამერიკაშია დამზა-  
დებული, 15% – ევროპაში, ბავშვთა პორნოგრაფიული  
ფილმების 80% კი – იაპონიაში. ახალგაზრდა, რომელსაც  
ჯერ კიდევ საშუალო სკოლა არ დაუმთავრებია, ათასო-  
ბით მკვლელობის, ძალადობისა და სექსუალური სცენე-  
ბის მხილველი ხდება. ტელეეკრანებზე თუ კომპიუტერის  
მონიტორზე ფართოდ და დაუფარავად წარმოდგენილი ამ-  
გვარი სცენები ცნობისმოყვარეობის, შეჩვევისა და მიმბაძ-  
ველობის თანდაყოლილი უნარის წყალობით, ახალგაზ-  
რდების მიერ აღიქმება როგორც ჩვეულებრივი მოვლენა,

როგორც ქცევის ნორმა, რაც მათ ქცევებში, ჩაცმულობა-ში, ვარცხნილობასა და მეტყველებაში ვლინდება.

პორნოგრაფიული სურათების ახალგაზრდებზე გამ-სრწნელ გავლენასთან დაკავშირებით, ტექნიკურ-ელექ-ტრონული მედიის მიმომხილველმა ტონ პარსონზმა დაწე-რა: „პორნოგრაფია უძუღმართ სურვილებს ბადებს ადამი-ანში, ის აღვივებს ავხორცულ ვნებებს, რომლის დაკმაყ-ფილებაც შეუძლებელია“ (ჟ. „გამოიღვიძეთ“, 2003, 8 აგ-გისტო, გვ. 3).

ზოგჯერ სპეციალურად, ზოგჯერ კიდევ შემთხვევით ახალგაზრდა აწყდება თვალის მაცდუნებელ პორნოგრა-ფიულ ვებ-საიტებს და ინტიმურ ვებ-ჩეთებს, რომელთა გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ის მთელი არსებით ებ-მება ვირტუალურ-ინტიმურ ურთიერთობებში, რაც თავზე კონტროლს აკარგვინებს. ამერიკელ და ევროპელ მეცნი-ერთა გამოკვლევებში თავმოყრილია უამრავი სტატისტი-კური მონაცემები პორნოგრაფიით დანგრეული ოჯახების, მოზარდების გონებრივი და ზნეობრივი დეგრადაციის, სექსუალური ძალადობის, ნააღრევი სქესობრივი პაგში-რის, უკანონო ფეხმიმობის, მორალურ-ემოციური ზია-ნის, ადადემიური ჩამორჩენილობის, შიდსის ინტენსიური გავრცელებისა და სხვა სისაბაგლების შესახებ.

მასმედიის ანალიტიკოსის დენის მაკალპენის აზრით, პორნოგრაფიული პროგრამების აღვილად ნახვის შესაძ-ლებლობა ერთ-ერთი ფაქტორია, რამაც განაპირობა ის, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი მას მიიჩნევს ბუნებრიობი-სა და თავისუფლების გამოხატვის ნორმალურ მოვლენად.

პუბლიცისტი ბრაიენ მაკლეარი პორნოგრაფიის დაუბ-რკოლებლად გავრცელებას თავისუფალი და ჯანსაღი სა-ზოგადოების განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევს. ის წერს: „საზოგადოება, რომელიც იმდენად განვითარებულია, რომ აუღელებლად ხედება ორ სრულწლოვანი ადამიანის ინ-ტიმური ურთიერთობების დაუფარავად ასახვას, უფრო შემწყნარებლურად მოეკიდება განსხვავებული სექსუალუ-რი ორიენტაციის ადამიანებს და უფრო ადვილად ადია-რებს ქალების თანასწორუფლებიანობასაც.“(იქვე).

ასეთ მხარდამჭერთა წყალობით, „დღეს ის გაცილებით დიდ გავლენას ახდენს კულტურაზე, ვიდრე ოპერა, ბალეტი, თეატრი, მუსიკა და სახვითი ხელოვნება ერთად აღებული“ – წერს პუბლიცისტი ჯერმეინ გრირი.

ძალადობისა და სექსუალური შინაარსიის შემცვლელი ინფორმაციები უწყვეტ ნაკადად მოედინება ტელევიზიის, კინოფილმების, მუსიკალური ვიდეოკლიპების, ინტერნეტისა და სხვა საინფორმაციო წყაროების მეშვეობით, რომელსაც ნებაყოფლობითა და დიდი სიამოვნებით ეწაფებიან გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდები. მას ემატება ის, რომ ბავშვთა დიდი პროცენტი „ტელემანიაკებისა“ და „კიბერ-ხულიგნების“ მახეში ებრძება. კამერიან მობილურ ტელეფონებს სკოლის გასახდელში ან საშხაპეში დებენ და გადაღებულ სურათებსა და ვიდეოჩანაწერებს ინტერნეტით ნებისმიერ მსურველს უგზავნიან.

ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი მობილური ტელეფონი უმეტეს შემთხვევაში მიზეზი ხდება უამრავი პრობლემისა, როგორიცაა: სასწავლო პროცესის ჩაშლა, მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის ურთიერთობის გაფუჭება, აკადემიური ჩამორჩენილობა, დროის ფუჭად ფლანგება, განშირებული ავარიები და, რაც მთავარია, განუსაზღვრელი ვადით ყურში გარჭობილი სასმენი აპარატი და უხამსი მუსიკების გამუდმებით მოსმენა ზიანს აყენებს მოზარდის ჯანმრთელობას, ფსიქიკასა და ნერვულ სისტემას.

არანაკლებ საზიანოა მოღის ბრძან მიყოლა. პოპულარული ადამიანები, ხელოვნების „ვარსკვლავები“, რომლებიც მებავებისთვის დამახასიათებელ ჩაცმულობას ირჩევენ, მოზარდის მოუმწიფებელი თვალი იწონებს და ბაბავს მას. უფრო გამაოგნებელი ის არის, რომ ყოველ ნაბიჯზე მაღაზიებში იყიდება ე.წ. საბავშვო კოსმეტიკური საშუალებები ნაირ-ნაირი ბრჭყვიალა ფერებითა და თვალწარმტაცი დიზაინით გაფორმებული, რომელსაც მშობლები და ახლობლები დიდი სიამოვნებით ყიდულობენ და ჩუქნიან ბავშვებს. უფროსებისგან ნებადართული პატარები ითითხნებიან, იპრანჭებიან, ხალისობენ და ბედნიერები არიან. შედეგი: უხამსობა, დაბალი გემოვნება,

უზნეო სითამამე და გამბედაობა, ზნეობრივი და სულიერი სიღატაპე. მერე გვიკვირს ის, რაც ჩვენ ვასწალეთ. ოოგორც მაკალპენი ასკვნის: “საზოგადოება იმას ისის-ხლხორცებს, რითაც მის გონებას კვებავენ”.

ამგვარ პრობლემებით არა მარტო მასწავლებლები და შშობლები არიან შეწუხებული, არამედ მთელი საზოგადოებაა შეშფოთებული.

საქართველოს გამოკლევებმა აჩვენა, რომ უხამსობის, ძალადობის, “პორნოგრაფიის ყურება ბიოქიმიურ ცვლილებებს იწვევს ტვინში და მისი ქიმიური სტრუქტურის ნაწილი ხდება, რაც ადამიანს უკარგავს გააზრებულად, შეგნებულად მოქმედების უნარს.” ეს კი საფრთხეს უქმნის ბავშვის ფსიქიკურ, სულიერ და მორალურ, ასევე ფიზიკური ჯანმრთელობას, ქვეყნის მომავალს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა გამოსავალი არსებობს? სპეციალისტების მხრიდან არის უამრავი შემოთავაზებები: ახსნა—განმარტება, აკრძალვა, ტელევიზორისა და კომპიუტერის დია, თვალსაჩინო ადგილზე დადგმა, სასარგებლო, სოციალურად დირებული შრომითი და შემეცნებითი საქმიანობით, სპორტით დაკავება, გასეირნება ბუნების წიაღში, ექსკურსია, ტურისტული დაშქრობები, ხელოვნების საღამოები, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები და ა. შ. , მაგრამ ეს არ არის საქმარისი, რადგან ყოვლად შეუძლებელია ბავშვის, მოზარდის, ახალგაზრდის შინაგანი სამყარო, გული და სული, ფიქრები და თვალი ვინმემ გააკონტროლოს. თვალომაცდუნებელ—გამსრწნელი ზეგავლენისაგან ახალგაზრდების დაცვის უკელაზე ოპტიმალური გზა არის ძალადობისა და პორნოგრაფიული პროგრამების კანონით აკრძალვა, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. რადგან აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს დიდი ბინძური კომერციისა და პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს. (ინილეთ დალესისა და მალოუსის ანტიკაციონიული პროგრამა!). ამიტომ პოლიტკოსები, კომერსანტები და მავანთ—მავანი, რომელთა ხელშია მსოფლიო გავლენის ბერებები, ისინი არასოდეს არ დათმობენ გამდიდრებისა და გავლენის ამ მუქითა წყაროს.

ყველაზე საიმედო და უტყუარი გამოსავალი არის სულიერი აღზრდა, დვოის კანონებისა და პრინციპების ცოდნა და მის შესაბამისად ცხოვრება, რადგან მხოლოდ ღმერთმა იცის, თუ რა არის უკეთესი მისი უნიკალური ქმნილების — ადამიანისათვის. უნდა ვენდოთ ყოვლისშემოქმედ ღმერთს, რომელმაც კაცობრიობისთვის თავისი მხოლოდ შობილი ძე, იესო ქრისტეს სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად და მოგვცა შანსი მონანიებისა და გადარჩენისათვის. ამასთან დაკავშირებით იოანეს 3:16-ში ვკითხულობთ: “ღმერთმა ქვეყნიერება ისე შეიყვარა, რომ თავისი მხოლოდ შობილი ძე მისცა, რათა ვისაც ის სწამს, არ დაიღუპოს, არამედ მარადიული სიცოცხლე პქონდეს.”

სოლომონ ბრძენმა დაწერა: “დაეწაფეთ დვოის სიტყვებს, შეიყვარეთ და განისწავლენით,” რადგან “შემეცნებაა გონების სრულქმნა, სრულქმნილება კი ღმერთოთან მიახლოება” (სიბრძნე სოლომონისა 6:11,16).

იან ამოს კომენსკის სულიერობის, დვოისმოშიშთა და დვოისმოსავთა აღზრდა მიაჩნდა საზოგადოების სულიერი გამოჯანსაღების მთავარ საშუალებად. “ვინაიდან-წერს კომენსკი— დვოის შიში სიბრძნის დასაწყისი და დასასრულია” (იან ამოს კომენსკი, რჩ. პედ. ოხ., თბ., 1949, გვ. 187).

პედაგოგიურ ინფრასტუქტურათა შორის სკოლისგარეული სასწავლო—აღმზრდელობითი დაწესებულებები ერთ—ერთ უმნიშვნელოვანეს პედაგოგიურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც ავსებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებისა და სოციალიზაციის პოტენციურ შესაძლებლობათა სრულ გამოვლინებასა და ღირსეულ პიროვნებად ფორმირებას. ეს სისტემა თავისი სტრუქტურული მრავალფეროვნებითა და არჩევანის თავისუფლებით მოსწავლეს აძლევს საშუალებას სოციოგენური მოთხოვნების, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის დამატებით და განსაკუთრებულ შესაძლებლობას ისევ და ისევ გონიერი და ზნექეთილი მასწავლებლის ხელშეწყობით. კლასგარეშე სასწავლო—აღმზრდელობითი სისტემის განსხვავებით, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო—აღმზრდელობითი სისტემა შედარებით უფრო სპეცი-

ალიზირებულია შინაარსისა და სფეროების მიხედვით, რომლებიც აგტონომიურ, დამოუკიდებელ ხასიათს ატარებენ. მაგალითად: სკოლა, კურსი, სექცია, წრე, დარბაზი, მოსწავლეთა სასახლე და ა. შ. ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების, ტექნიკისა და სხვა უამრავი მიმართულებით.

მოსწავლეთათვის სკოლისგარეშე დაწესებულება არის სხვა, ახალი, განსხვავებული გარემო, რომელთანაც ადაპტაცია მოითხოვს ასევე ახალ სპეციალურ ძალისხმევას, მისი პიროვნული ფსიქიკურ, გონებრივ და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოწვევას. ამ ბუნებრივი შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობის დაძლევას ემსახურება პედაგოგიკური მეცნიერება აყვანილი პედაგოგიურ ხელოვნების რანგში, რომლის მეშვეობით იწყება მოსწავლის სოციალიზაცია.

ასეთი უზარმაზარი აღმზრდელობითი პოტენციალის პედაგოგიური ინფრასტრუქტურა დღეს არ არის მასობრივი და ხელმისაწვდომი. მის ერთერთ და მთავარი მიზეზი ის არის, რომ იგი იქცა კომერციის ნაწილად, მაგან-მავანთა გამდიდრების წყაროდ. აღზრდა, თაობათა ახალი ცვლის მომზადება კი ვერ იტანს კომერციას. ქვეყანა, რომელიც აღზრდაზე არ ზრუნავს, მისი მომავალი განწირულია.

პედაგოგიური სისტემების კოორდინირება—ინტეგრაცია მოცემულ კონკრეტულ პედაგოგიურ სიტუაციის აღეკვატურად ქმნის სწორედ ისეთ პედაგოგიურ პირობებს, ოპტიმალურ გარემოს, სადაც პედაგოგიური პროცესი თავის ჩარჩოებში ჯდება და ეფექტურად ასრულებს თავის ფუნქციას.

ოჯახი — ეს უნიკალური, შეუცვლელი სოციალური სისტემა პედაგოგიურ ინფრასტრუქტურას არ მიეკუთვნება, მაგრამ ის სკოლის პირველი და უმთავრესი მოკავშირეა ქალ-ვაჟის გულწრფელ სიყვარულზე აგებული დვთითკურთხეული, მარადიული ერთობა, რომელთა მთავარი ფუნქციაა შეიძლების გაჩენა და დირსეული აღზრდა. ოჯახში ეყრება საფუძველი ყველა იმ პიროვნული თვისებების ელემენტებს, რომელიც, როგორც უან-უაპ რუსომ თქვა, პატარაობისას არა გვაქვს და დიდობაში გვჭირდე-

ბა. სენსუალიზმის თეორიის მიხედვით ბაგშვი შეიმეცნებს მას, რასაც შეიგრძნობს – მოისმენს, დაინახავს, დაყონ-სავს, დააგემოვნებს, შეეხება. ამ ობიექტურ კანონზომიუ-რებიდან გამომდინარე, აღსაზრდელის ცნობიერებაში აი-რეკლება ის, რაც ხდება მის ირგვლივ, ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში, მეგა, მაკრო, მიკრო თუ მეზო ფაქ-ტორების გავლენით. აღზრდა არის სწორედ ის ფაქტორი, რომელითაც რეგულირდება აღნიშნილ ფაქტორთა თვით-ნებური, ბუნებრივი გავლენა აღზრდის მიზნის შესაბამი-სად.

კაცობრიობის ისტორიაში აღზრდის მთავარი კერა ყო-ველთვის იყო, არის და იქნება ოჯახი – მშვიდობიანი, უსაფრთხო და ბედნიერი თაგშესაფარი მოსიყვარულე ადამიანებისა, კანონიერი ადგილი დაბადების, აღზრდისა და ბაგშვის პიროვნებად ჩამოყალიბებისა. “ოჯახის გარე-შე არ არსებობს საზოგადოება და ვისაც საზოგადოებრი-ვი კეთილდღეობის ინტერესები ამოძრავებს, ვინც პატრი-ოტი და პუმანისტია, იგი აუცილებლად უნდა ზრუნავდეს ოჯახის შექმნისა და განვითარებისათვის” (გ. ბანძელაძე, “ეთიკა”, თბ., 1962, გვ.426).

მზრუნველმა მშობლებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იზრუნონ ისეთი ოჯახური პირობების შესაქმნელად, რაც უზრუნველყოფს ბაგშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, სულიერ და ესთეტიკურ განვითარებას, პიროვნული თვეე-ბების ელემენტების ჩამოყალიბებას, რაც სკოლას გაუად-ვილებს ოჯახშივე ჩაყრილ საფუძველზე მის პიროვნების სრულყოფას. სანამ ბაგშვი სკოლაში მოგა, მას უკვე აქვს გარეგეული წარმოლგენა სამყაროზე, აქვს თავისი “მორა-ლური და იურიდიული კოდექსი,” რომელიც აუცილებ-ლად უნდა გაითვალისწინოს სკოლამ მოსწავლეთა ასა-კობრივი და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალის-წინების პრინციპის საფუძველზე.

პედაგოგიკურ მეცნიერებაში დადგენილია, რომ ბაგ-შვის აღზრდის წარმატებას განაპირობებს დრო და სიგ-რცე, ე. ი. ბაგშვის ასაკი და აღზრდის გარემო.

ცნობილია, რომ დაბადებიდანავე მზად არის ბაგშვის ტვინი ინფორმაციების მისაღებად და დასამახსოვრებ-

დად. ჩანს, ოომ ამის შესახებ ჩვენმა წინაპრებმა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იცოდნენ. ძვ.წ/აღ. XI-X სს. ისრაელის მეფის სოლომონ ბრძენის სიტყვები ჩაიწერა ბიბლიაში: “ემაწვილო მისი გზის დასაწყისში გაწვრთენი და სიბერეშიც კი არ გადაუხვევს მას” (სოლომონის იგავნი 22:6). მსგავსი აზრია გატარებული I საუკუნის რომაელი მეცნიერ-პედაგოგისა და ორატორის მარქუს ფაბიუს კვინტილიანეს “ორატორის დარიგებანის” I წიგნის I თავში, სადაც ვკითხულობთ: “მამა, შვილის შეძენისთანავე უნდა განიმსჭვალოს მისდამი კეთილი იმედებით, ასეთი განწყობა აღავხებს მას, იზრუნოს ბავშვის აღზრდაზე.”

კვინტილიანეს მიხედვით, მშობლებს უნდა ეზრუნათ იმისათვის. ოომ ბავშვს ჰქონოდა ოჯახში აღზრდისათვის აუცილებელი ხელსაყრელი პირობები. იგი მკაცრად აყენებდა საკითხს ყოველგვარი უზნეობის, მდარე ყიფაქცევისა და ცუდი მეტყველების გარემოცვისაგან ბავშვის დაცვის აუცილებლობის შესახებ; მოითხოვდა მკაცრი კონტროლის დაწესებას იმ გარემოზე, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს. ადსახრდელი აღზრდული ასაკიდანვე უნდა იმყოფებოდეს ისეთ გარემოში, სადაც თავიდანვე არა მარტო სიტყვის სწორად წარმოოქმასა და გამართულ მეტყველებას მოისმენს, ამასთანავე მაღალი მორალური ქცევის სანიმუშო მაგალითებს დაინახავს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვინტილიანეს ამ შეხედულებებს სააღმზრდელო გარემოს შესახებ დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. სამწუხაროდ, მშობელთა დიდი ნაწილი ასე არ ფიქრობს. მათ მიაჩნიათ, ოომ ოჯახი პასუხისმგებელია მხოლოდ გაზრდაზე, ბავშვის ბიოლოგიური და მატერიალური მოთხოვნილებების დაგმაყოფილებაზე, აღზრდა-განათლება კი მხოლოდ სკოლის საქმეა. “აბა, სკოლა რას მიკეთებს?!”, “მასწავლებელს სხვა რა ევალება?!”, “ეს სკოლის ფუნქციაა, მე ჩემს ფუნქციას ვასრულებ” და ა. შ. ეს არის მშობელთა უმრავლესობის პოზიცია.

სინამდვილეში საქმე სხვაგვარად არის. ჩვენი შემოქმედი ღმერთი პირდაპირ მშობლებს ავალებს შეილების აღზრდის პასუხისმგებლობას: “გულში ჩაიბეჭდე სიტყვები,

რომლებსაც დღეს გიბრძანებ: ჩაგონე შენს ვაჟს და ელაპარაკე მათზე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარული-სას, დაწოლისას და ადგომისას” (მეორე კანონი 6:6,7). აქ ნათლად ჩანს, რომ მშობლებმა დვთის სიტყვები ჯერ თავად უნდა შეისწავლონ და გაითავისონ, გულში ჩაიბეჭდონ, შემდეგ სულ, შეუწყვეტლივ და სისტემატურად უნდა ასწავლონ თავიათ შვილებს. ეს კი, ცხადია, დაკავშირებულია შვილებზე დროის დათმობასა და ახლო ურთიერთობასთან, რაც ასე აკლია თანამედროვე ბავშვებს.

ბავშვებს პაერივით სჭირდებათ სიყვარული და ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ვის შეუძლია ეს მშობლებზე უკეთესად. მოუერება, გულში ჩაკვრა, გადიმება, ნდობა, მოსმენა, დაცვა, მოწონება, შექება და ასე შემდეგ სიყვარულის და პატივისცემის ყველაზე მარტივი, მაგრამ გასაოცარი დადებითი მუხტების შემცვლელი მშობლიური ურთიერთობის უფასო და ფასდაუდებელი ატრიბუტებია. გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობა იმით იმართლებს თავს, რომ საამისოდ არც დრო აქვს და არც ნერვები.

შვილებსა და მშობლებს შორის ახლო ურთიერთობა, ბევრ მიზეზთა შორის, როგორც ი. დოლონაძე—შურლაია აღნიშნავს: „ინფორმაციისა და კომუნიკაციების საშუალებათა მოზღვავებამ ერთგვარად შეზღუდა მშობლისა და შვილის უშუალო კონტაქტები. მშობელი ნაკლებ დროსა და ენერგიას ხარჯავს შვილისთვის, რაც თავის მხრივ მშობლიური გრძნობების რამდენადმე შესუსტებას იწვევს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში მოზარდი იძულებულია „საზრდო“ ოჯახის გარეთ მიიღოს, რადგან სულიერ გარემოში გაკუში არ შეიძლება არსებობდეს, იგი უნდა შეივსოს“ და აგრორი იქვე იმოწმებს ა. პინტის სიტყვებს: „დროის დაუხარჯავად ბავშვს კარგად ვერ აღზრდი“ (იდილია დოლონაძე—შურლაია, „დედავ, ისმინე“. თბ., 1991, გვ.48,49).

ოჯახში პრიორიტეტების დალაგება უჭირთ მშობლებს, მით უმეტეს იმათ, რომლებსაც აღზრდა მხოლოდ სკოლის პრეროგატივად მიაჩნიათ. ამის ერთ-ერთი და საკმაოდ მძიმე მიზეზია პედაგოგიური კულტურის დეფიციტი.

პედაგოგიკა თავისი ბუნებიდან გამომდინარე საყოველ-თაო—სავალდებულო და პერმანენტული მეცნიერება. ყოვე-ლი ადამიანი პოტენციური მშობელია და ბუნებრივად ხდება აღმზრდელი. ეს კი მოითხოვს გარკვეული პედაგო-გიური ცოდნის მინიმუმს მაიც. პედაგოგიური კულტურის ამაღლებას.

მშობლებმა უნდა იცოდნენ ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, აღზრდაში დადებითზე დაყრდნობისა და ბავშვის პიროვნებისადმი პატივისცემის პრინციპები, ფლობდნენ ურთიერთობის კულტურას. უნ-და იყვნენ მომთმენი და თავშეკავებული, ბავშვებთან უნ-და ჰქონდეთ ახლო და მეგობრული ურთიერთობა, რომ მოიპოვონ ბავშვის ნდობა და პატივისცემა. ხშირად ოჯახში ერთად თავმოყრა, საინტერესო „თავგადასავლე-ბის“, კურიოზული შემთხვევების მოყოლა, სიმდერა, ცემ-ვა, ლექსების წაკითხვა, თამაში, ერთად გასეირნება ბუნე-ბაში, ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, მუზეუმი, თე-ატრი, ოპერა, ბალეტი, სამხატვრო გალერეა, ოჯახურ საქმეებში თანამშრომლობა, ჯანსაღი შეჯიბრებები, გა-მარჯვებულის აპლოდისმენტებით აღიარება და ა. შ. ბავ-შვში წარმოშობს ოჯახის სრულფასოვანი წევრის შეგ-რძნებას, რაც ხელს უწყობს თავისთავში პიროვნების პოვნას, უქმნის თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაცი-ისათვის ინტელექტუალური აქტივობის სტიმულს.

შეიძლება და მშობლებს შორის ურთიერთობაში ბუ-ნებრივად ჩნდება კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა. საქმე იმაშია, რომ ბავშვები სწრაფად იზრდე-ბიან და იცვლებიან, უჩნდებათ ახალი სოციოგენური მოთ-ხოვნები, მშობლები კი სტატისტიკურ მდგომარეობას ინარჩუნებენ და მათ შორის შეხების წერტილები თანდა-თანობით ერთმანეთს სცილდებიან და გავლენას კარგავენ. მშობლები შვილებისთვის უკვე აღარ არიან ავტორიტეტ-ბი. იწყება ურთიერთობების კიდევ უფრო გამძაფრება. აქაც სჭირდებათ მშობლებს მასწავლებელთა კვალიფიცი-ური დახმარება. აღსაზრდელის ასაკობრივი ცვლილები იწვევს მის ფიზიოლოგიურ-ფსიქიკური მდგომარეობის, მსოფლმხედველობის ცვლილებებს, რაც მოითხოვს მასზე

პედაგოგიური ზემოქმედების დონისძიებათა სისტემის მოცემულ სიტუაციასთან შესაბამისობაში მოყვანას. ამ პრობლემასთან გამკლავება მშობელთა ძალებს აღემატება. აუცილებელია მასწავლებლის ჩარევა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვალიფიციური ინფორმაციების მიწოდება. სპეციალური პედაგოგიური და ოემატური სემინარების, კონფერენციების, დისკუსიების, ლექციების ჩატარება ამაღლებულ ფსიქოლოგიურ გარემოში მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლების მიზნით. რაც მშობელს დაანახვებს სკოლასთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობას.

ამრიგად, ოჯახი, როგორც სკოლის ძირითადი მოკავშირე, ვერ ასრულებს თავის ათმზრდელობით მისიას შემდეგი მიზეზების გამო: პირველი, აღზრდის დროდ და ადგილად თვლის სკოლას და სასკოლო ასაკს და ოჯახის განუსაზღვრელ აღმზრდელობით შესაძლებლობებს არ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას; მეორე, მოუცდელობა და გადაღლა; მესამე, და, რაც მთავარია, განიცდის პედაგოგის ძირითადი საკითხების ცოდნის დეფიციტს. ამიტომ რჩება დღემდე მშობელთა პედაგოგიზაცია აქტუალურ პრობლემად. ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ მასწავლებელთა ურევილი არ არის საქმარისი, საჭიროა საქმისადმი კომპლექსური მიდგომა. სკოლის, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევა, ფინანსური, მორალური და იურიდიული მხარდაჭერა, რომ ბავშვს პქონდეს ოჯახში გარეგეული პედაგოგიური გარემო-პირობები სწავლა-განათლებისა და აღზრდისათვის.

ამრიგად, სკოლაში პედაგოგიური პროცესის წარმატებულ მუშაობას მისი მთავარი სისტემებისა და კომპონენტების გამართულ, მეცნიერულ საფუძვლებზე ორგანიზებული მუშაობა, საკლასო-საგანვითოლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე სასწავლო-აღმზრდელობითი ოგოლებისა და ოჯახის ძალისხმევის ერთი აღზრდის მიზნისადმი დაქვემდებარება განაპირობებს.

სასკოლო პრაქტიკისა და პედაგოგიური ოეორიის ურთიერთ შესაბამისობის დაღვენის მიზნით ჩატარებული პედაგოგიური კვლევის შედეგების ანალიზმა მოგვცა სა-

შუალება შემდეგი პედაგოგიური დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთებისა.

პედაგოგიური პროცესის სისტემებისა და კომპონენტების აღმზრდებლობითი პოტენციალი განუსაზღვრელია მისი მეცნიერული ორგანიზაციის, ოპტიმიზაციისა და ინტენსიფიკაციის საფუძველზე. სწორედ პრობლემა იმაშია, რომ ეს დიდი შესაძლებლობა სათანადოდ არ არის გამოყენებული, რასაც უამრავი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ ამჯერად ჩვენ გამოვყავით რამდენიმე პრინციპული მიზეზები:

პირველი, მასწავლებელთა პროფესიონალიზმის პრობლემა;

მეორე, მოსწავლეთა მიერ ტექნიკურ საკომუნიკაციო საშუალებათა არასწორად გამოყენება;

მესამე, მშობელთა პედაგოგიური კულტურის არასაკმარისი დონე.

ადნიშნულ პრობლემათა მოგვარების მიზნით შემდეგი პედაგოგიური რეკომენდაციები:

1. მასწავლებელთა მიერ პედაგოგიკური ცნებითი—ტერმინოლოგიური სისტემის სიღრმისეულად ათვისების მიზნით პედაგოგიკის საფუძვლებისა და პედაგოგიკურ საცნობარო ლიტერატურაზე რეგულარული ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა;

2. სეციიალური სემინარების მოწყობა პედაგოგიური ურთიერთობის კულტურის ამაღლების, კომუნიკაბელურობის, მოსწავლეთა სულიერი მდგომარეობასთან ადეკვატური დამოკიდებულების, პედაგოგიური სიტუაციების ობიექტურად შეფასების, მართვისა და ხელმძღვანელობის უნარ—ჩვევების გამომუშავების მიზნით;

3. მასწავლებელთავის სპეციალური ლექცია—ტრენინგების მოწყობა პედაგოგიური პროცესის ძირითადი სისტემების, ქვესისტემებისა და კომპონენტების სასწავლო—აღმზრდებლობითი პოტენციალის კონკრეტულ პედაგოგიურ სიტუაციების შესაბამისად ინტეგრირებისა და შემოქმედებითად გამოყენების პედაგოგიური ტექნოლოგიების შესახებ;

4. ოჯახში პრიორიტეტული უნდა იყოს ბავშვების აღზრდა. მშობლებმა ისე უნდა დაგეგმონ ყოველი დღე, რომ ბავშვებს რაც შეიძლება მეტი დრო და ყურადღება ეთმობოდეს. თბილი მეგობრული ურთიერთობა, მათი სოციოგენური მოთხოვნების, ინტერესების დაკმაყოფილება, მოსმენა და გაგება, კარგ ქცევებზე მაგალითებით საუბარი, ოჯახში ფუნქციის დაკისრება, რომ სრულფასოვან წევრად იგრძნოს თავი, ერთად გასეირნება პარკში, ტყეში, სათევზაოდ, შეძლებისდაგარად თეატრში, ოპერაზე, ბალეტზე ერთად დასწრება და ნანახზე საუბარი, საფრთხეების: განსაკუთრებით ინტერნეტის სოციალური ქსელის, პორნოგრაფიული და ძალადობის ამსახველი სურათების ნახვის უარყოფითი შედეგების გაცნობიერება, ბავშვის სულიერობის ამაღლებაზე ზრუნვა, ღვთის პრინციპების ჩანერგვა საუკეთესო გზაა ოჯახური აღზრდის პრობლემების პრევენციისა და კორექციისათვის. ამგვარი დონისძიებებით ნამდგილად დაიპყრობთ თქვენი შვილის გულს. ის თქვენში დაინახავს სანდო მრჩეველს და არა ესთეტიკურ იდეალებს მოკლებულ მხოლოდ მუშა ძალას ან კიდევ უარესს.

5. მასწავლებელმა მშობლები თავის აქტიურ მოქავშირედ რომ გაიხადოს, უნდა დაეხმაროს მათ პედაგოგიური კულტურის ამაღლებაში. გამოიკვლიოს ის პრობლემები, რომელიც აწუხებთ მსობლებს შეილებთან ურთიერთობაში და შეადგინოს მათთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის რეგულარული გეგმა. მოაწყოს თემატურ-პედაგოგიური სემინარები, პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის საეციალისტებთან შეხვედრები, დაეხმაროს საჭირო პედაგოგიური ლიტერატურის შერჩევასა და განხილვაში, თავი აგრძნობინოს პროცესის თანაბარ მხარედ, ერთ-ერთ სუბიექტად. ამგვარი კეთილმოსურნე თანამშრომლობა, უგჰელად, კარგ ნაყოფს გამოიდებს, თუ კი სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან მასწავლებელს ექნება მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, შესაბამისი წახალისებაც.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალგაზრდების შეკითხვები პრაქტიკული რჩევები. ტ.1, ბრიუკლინი, 1999; ტ. 2, 2008;
2. ბიბლია;
3. განვითარებისა და სწავლების თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბ., 2008;
4. დოდონაძე—შურდაია ი. დედავ, ისმინე. თბ., 1991;
5. ვისწავლოთ ერთად. ინკლუზიური განათლება. თბ., 2008;
6. ზაალიშვილი ნ., პედაგოგიური ურთიერთობა. თბ., 2003;
7. თერნბული ჯ. პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი. თბ., 2009;
8. ინფორმაციულ—საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. თბ., 2010;
9. ინასარიძე მ., ლობჟანიძე ს, მამუკაძე შ. მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო. თბ., 2009;
10. კოპალიანი ბ., მასწავლებლის სამაგიდო წიგნი. თბ., 2009–2010;
11. მარზანო რ. ჯ. ეფექტური სწავლება სკოლაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბ., 2009;
12. მეცნიერება და სკოლა. სამეცნიერო პედაგოგიური შრომების კრებული. თბ., 2010;
13. ოჯახური ბედნიერების საიდუმლო. ბრიუკლინი, 2006; (ქართულ ენაზე);
14. ჟურ. „გამოილვიძეთ!“ 8 აგვისტო, 2003;
15. სელესტენ ფრენე, პედაგოგიური ინვარიანტები. თბ., 1996;
16. ჯაინოტი ჰ. ჯ. მშობლები და შვილები. თბ., 1991;

**G. Khukhua**

## **Modern technologies of integration and utilization of pedagogical systems for person's formation**

### **Summary**

Monograph considers the technologies of integration and utilization of basic school pedagogical systems according to the specific situations. It is based on the results of the school empirical research and theoretical analysis. The connection among the school, class-based, extracurricular and out-of-school systems and their expression is shown; the role of the teacher in this work and the recommendations for increasing professional qualification according to the new demands are given; the interconnections between school and the family, the forms and methods of increasing the pedagogical culture in parents are considered.

Advices recommended in the book will assist teachers theoretically and methodically in fulfilling their professional duty, in interconnecting theory and practice.

The main goal of pedagogical recommendations is developing professional approach of teachers and parents towards the students, creative and situational utilization of pedagogical technologies, creating optimal environment for development and display of potential opportunities for formation of a valuable person from a student.



გამომცემლობა „უნივერსალი”

---

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 1, ტე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge